



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ფრიდონ შენგელია

„-01-----“ ----11----- 2016 წელი

ეგზ. N1

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფის“ 2014-2015
წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N63/36

სარჩევი

გამოყენებული შემოკლებანი:	3
შემაჯამებელი მიმოხილვა:	4
გამოვლენილი გარემოებები	8
1. შპს „თბილსერვის ჯგუფის“ შემოსავლები, ხარჯები და მოგება - ზარალი	8
2. საწესდებო კაპიტალის მოძრაობა	11
3. საწვავის ჩამოწერა	11
4. სპეცტექნიკის სათადარიგო ნაწილები	16
5. ტექნიკური მარილის მიღება - ჩამოწერა	17
6. კომპანიის სამსახურების საქმიანობის შესაბამისობა კანონმდებლობასთან და დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან	19
6.1. საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მარშრუტების მართვის სამსახური	19
6.2. სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლოატაციის N1 და N2 განყოფილებები	20
6.3. შიდა კონტროლის სამსახური	22
6.4. მოსაკრებლის დარიცხვა-ამოღების სამსახური	23
7. სახელმწიფო შესყიდვები	25
7.1. ტექნიკური მარილის შესყიდვა	25
7.2. შპს „ნეოტექი“ - GPS მონიტორინგის სისტემის მოწყობილობების შეძენა	27
7.3. ნაგავსაყრელი პოლიგონის მეორე უჯრედის მშენებლობა	31
7.4. დისკვალიფიკაცია ნიმუშის წარმოდგენლობაზე	36
7.5. საბურავების შეძენა	37
7.6. ქუჩის დასაგველი მინდვრის ცოცხები	38
7.7. შესყიდვების მართვასთან დაკავშირებული სხვა ხარვეზები	40
8. ვალდებულებები და მოთხოვნები	42
9. დედაქალაქის ტერიტორიაზე დასუფთავების წესების დარღვევებზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება	45
10. ცხელ ხაზზე შემოსულ განცხადებებზე (საჩივრებზე) რეაგირება	50
რეკომენდაციები	51

გამოყენებული შემოკლებანი:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფი“ - კომპანია;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური - ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური - კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტო - ქონების მართვის სააგენტო;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო - აღსრულების ეროვნული ბიურო ;
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი - კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი;
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო - ექსპერტიზის ეროვნული ბიურო;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი - საავტომობილო გზების დეპარტამენტი;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის სააგენტო - ტექნიკური ზედამხედველობის სააგენტო;
- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“ - გარემოს ეროვნული სააგენტო;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური - საფინანსო სამსახური.

შემაჯამებელი მიმოხილვა:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის განკარგულების¹ შესაბამისად, 2015 წელს ქ. თბილისის ბიუჯეტით დასუფთავების ღონისძიებებისთვის გამოყოფილი 55,900.0 ათასი ლარიდან 52,276.2 ათასი ლარი მიმართულია კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად. შედეგად აღნიშნული სახსრები ვერ აისახა კომპანიის ერთობლივ შემოსავალში და სამეურნეო წელი დასრულებულია 57,580.3 ათასი ლარის ზარალით;
2. სპეცტექნიკის - ნაგავმზიდების მოძრაობის საბაზისო მარშუტები არ არის დამტკიცებული;
3. აუდირებულ პერიოდში 201.9 ათასი ლარის ღირებულების 134.9 ათასი ლიტრი ბენზინი და 3,583.9 ათასი ლარის ღირებულების 2,498.9 ათასი ლიტრი დიზელის საწვავი ჩამოწერილია ისეთ სატრანსპორტო საშუალებებზე რომელთაც საერთოდ არ გააჩნდათ ოდომეტრი ან ოდომეტრი გამოსული იყო მწყობრიდან;
4. ადგილი ჰქონდა ქ. თბილისის გარეთ მდებარე ავტოგასამართ სადურებში კომპანიის ბალანსზე რიცხულ და სამსახურის საჭიროებისთვის გამოყენებულ პირად მსუბუქ ავტომანქანებში საწვავის ჩასხმის შემთხვევებს ისეთ დღეებში, როდესაც კომპანიის თანამშრომლები ქალაქის ფარგლებს გარეთ მივლინებულნი არ ყოფილან.
აუდირებულ პერიოდში ქალაქგარეთ ჩასხმულია 25,417 ლარის¹ ღირებულების 16,665 ლიტრი ბენზინი, მათ შორის 10,997 ლიტრი² კომპანიის კუთვნილ, ხოლო 5,668 ლიტრი³ საკუთარ ავტომანქანებში;
5. კომპანიას არ გააჩნდა სტანდარტი თოვლცვენის დროს ქუჩებსა და მოედნებზე მარილის მოყრაზე.
საავტომობილო გზების შეკეთებისა და მოვლა - შენახვის ტექნიკური წესებით (BCH 24-88) ხელმძღვანელობის შემთხვევაში, კომპანიას აუდირებულ პერიოდში ნაცლად 5,424.0 ტონისა უნდა გაეხარჯა 1.084.8 ტონა მარილი⁴, ანუ 4,339.2 ტონით ნაკლები (568.8 ათასი ლარის ღირებულების⁵). გარდა აღნიშნულისა, კომპანიას მარილი მოყრილი აქვს იმ დღეებშიც როდესაც გარემოს ეროვნული სააგენტოდან მიღებულ ინფორმაციაში ყინვა და თოვლცვენა არ ფიქსირდება;
6. დეფექტური აქტების არ არსებობის გამო ვერ იქნა მიღებული სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელის კონკრეტული სარემონტო - საამშენებლო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება.

¹ დღგ - ს გარეშე;

² 16,721 ლარი;

³ 8,696 ლარი;

⁴ 5,424.0*20%=1,084.8 ტონა, დღგ -ს გარეშე - 142.2 ათასი ლარი;

⁵ დღგ -ს გარეშე.

გარდა ამისა, წარმოდგენილი ხარჯთაღიწვევის⁶ შესაბამისად ჩამოწერილი მასალების ოდენობები განსხვავდება კომპანიის საბუღალტრო დოკუმენტების მიხედვით ჩამოწერილი მასალების ოდენობებისგან;

7. კომპანიის შიდა კონტროლის სამსახური სრულყოფილად არ ასრულებდა დებულებით გათვალისწინებულ ფუნქცია - მოვალეობებს. კერძოდ, ვერ იქნა წარმოდგენილი ყოველწლიური სამუშაო გეგმები, ხოლო მათ მიერ შედგენილი ანგარიშები გაწეული საქმიანობის შესახებ კომპანიის საქმისწარმოებისა და საარქივო განყოფილებაში არ ფიქსირდება;

8. აუდირებულ პერიოდში კომპანიას არ უსარგებლია ენერგოკომპანიებთან დადებული ხელშეკრულებებით მისთვის მინიჭებული უფლებით - მოეხდინა შედარება ენერგოკომპანიების სპეცანგარიშებზე დაგვა-დასუფთავებისათვის და ნარჩენების მართვის მომსახურებისათვის შემოსული და კომპანიის ანგარიშზე გადარიცხული თანხების შესახებ. ასევე არ განხორციელებულა შედარება ენერგოკომპანიების ანგარიშებზე შემოსული და თბილისის ბიუჯეტში ჩარიცხული თანხების შესახებ. აღსანიშნავია, რომ კომპანიას არ გააჩნია გადამხდელთა საკუთარი ბაზა და ძირითადად ენერგოკომპანიებიდან მიღებულ ინფორმაციას ეყრდნობა. ენერგოკომპანიების ბაზებთან მათი წვდომა კი შემოიფარგლება მხოლოდ სტუმრის სტატუსით;

9. მიწოდების ერთი დღის ვადაგადაცილების მიზეზით 7,000 ტონა ტექნიკური მარილის შესყიდვაზე არსებული ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისა და გადაუდებელი აუცილებლობით ორი ხელშეკრულების უფრო მაღალი ფასით გაფორმების შედეგად შესასყიდი ერთი ტონა ტექნიკური მარილის ღირებულება გაზრდილია 46 ლარით და ფაქტობრივი მიწოდებიდან გამომდინარე გადახდილია 216.6 ათასი ლარით მეტი;

10. შეუსრულებელია კომპანიასა და შპს „ნეოტექს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობები, კერძოდ კომპანიის კუთვნილ ა/მანქანებზე და ნაგვის ურნებზე დამონტაჟებული მონიტორინგის სისტემის მოწყობილობებით კომპანიას დღემდე არ უსარგებლია⁷, თუმცა 994.0 ათასი ლარი სრულადაა ანაზღაურებული. ამასთან, მიწოდებულ საქონელზე ფასნამატი შეადგენს 434.1 ათას ლარს (116%);

11. ნაგავსაყრელი პოლიგონის მეორე უჯრედის მშენებლობასა და ნაჟური წყლის გამწმენდი დანადგარის მოწყობის გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში, კომპანიის მხრიდან პრეტენდენტების მიმართ არ იყო დაცული სამართლიანი მიდგომა. შედეგად, გამარჯვებულია შპს „ჯავამ“, რომლის საბოლოო შემოთავაზებული ფასი⁸ 6,450.1 ათასი ლარით ნაკლებია სატენდერო სავარაუდო ღირებულებაზე⁹;

⁶ ფორმა N2;

⁷ 19.11.2013.;

⁸ 7,249.9 ათასი ლარი;

⁹ 13,700.0 ათასი ლარი.

12. შესასყიდი საქონლის წარმოდგენაზე პრედენდენტებს ეძლეოდა მცირე ვადები (1-3 დღე), რაც ზღუდავდა ტენდერში მონაწილე პირთა რაოდენობას, შესაბამისად მცირდებოდა კონკურენცია და საქონლის შესაძლო დაბალ ფასად შესყიდვის შესაძლებლობა;
13. საბურავების შეძენის შემთხვევაში გამოვლინდა ტენდერში მონაწილე უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტისადმი არასამართლიანი მიდგომა;
14. ქუჩის დასაგველი მინდვრის ცოცხის შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერებში, სავარაუდო ღირებულებები განსაზღვრული იყო ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე. ტენდერებში უმეტეს შემთხვევაში მიმწოდებლები იმარჯვებდნენ სატენდერო წინადადების ფასით.
15. ცალკეულ შემთხვევებში ტენდერების გამოცხადებისას არასწორად იყო განსაზღვრული შესყიდვის სავარაუდო ღირებულებები, შესაბამისად ტენდერებში გამარჯვებულად ცხადდებოდნენ ისეთი მიმწოდებლები, რომელთა მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულება აღემატებოდა საბაზრო ფასს;
16. კომპანიას არ ჩაუტარებია მოთხოვნებისა და ვალდებულებების სრულყოფილი ინვენტარიზაცია. ზოგიერთ შემთხვევაში კომპანიაში რიცხული დავალიანების ოდენობა არ შეესაბამება რეალობას.

შესავალი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ 2014-2015 წლებში განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის ობიექტის პასუხისმგებლობა

შპს „თბილსერვის ჯგუფი“ ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომ გამოირიცხოს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეული არსებითი კანონშეუსაბამობები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია, აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას, განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან. აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ შპს „თბილსერვის ჯგუფის“ 2014 - 2015 წლების საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებით შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ 2014-2015 წლებში გაწეული საქმიანობა.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

გამოვლენილი გარემოებები

1. შპს „თბილსერვის ჯგუფის“ შემოსავლები, ხარჯები და მოგება - ზარალი

შპს „თბილსერვის ჯგუფი“ შექმნილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. კომპანიის დამფუძნებელი და კაპიტალში 100% წილის მფლობელია ქ. თბილისის მთავრობა.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის 2014 - 2015 წლების შემოსავლების, ხარჯებისა და ფინანსური შედეგების(მოგება - ზარალის) შესახებ:

	(ათას ლარებში)		
სულ შემოსავლები	2014 წელი	2015 წელი	სხვაობა
მათ შორის:	49925.5	3482.5	-46443
1 ამონაგები რეალიზაციიდან	49061.8	2498.3	-46563.5
მათ შორის:			
ა) დაგვა - დასუფთავების მომსახურება.	47315.3		-47315.3
ბ) სანიაღვრე ქსელის ექსპლუატაცია	1631.4	1645.3	13.9
გ) სამშენებლო ნაგვის გატანა, განადგურება,	55.9	455.6	399.7

ე) ნარჩენების განადგურება	59.2	251.7	192.5
ვ) ჯართის რეალიზაცია და სხვა შემოსავლები		145.7	145.7
2 სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	863.7	984.2	120.5
ხარჯები	57497.3	61063.2	3565.9
მათ შორის:			
1 შრომის ანაზღაურება	36260.4	39446.8	3186.4
მათ შორის:			
ა) ფულადი ფორმით გაცემული ხელფასი	35445.6	38828.1	3382.5
ბ) არაფულადი ფორმით გაცემული ხელფასი	814.8	618.7	-196.1
2 ამორტიზაცია	6764.6	5783.7	-980.9
3 საწვავი	4577.5	4260.7	-316.8
4 სხვა საგადასახადო ხარჯი	3557.7	3668.9	111.2
5 ა/მანქანის რემონტი, იარაღები და მასალები	2342.1	2351.2	9.1
6 სხვა ხარჯები (თელასი, ენერგო-პრო, 112 და სხვა)	1204.1	1353.2	149.1
7 საწარმოო ინვენტარის ხარჯი	765.7	921.8	156.1
8 ოფისის და კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	593	805.3	212.3
9 ძირითადი და დამხმარე მასალების დანახარჯები	688.2	321.5	-366.7
10 ზეთები და სითხეები	259.7	301.7	42
11 სხვა საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯი	345	1635.5	1290.5
12 სხვადასხვა ხარჯები	139.3	212.9	73.6
მოგება-ზარალი	-7571.8	-57580.7	

როგორც ცხრილიდან ჩანს კომპანიას ორივე სამეურნეო წელი დამთავრებული აქვს ზარალით. კერძოდ, 2014 წელი - 7,571.8 ათასი ლარის და 2015 წელი 57,580.3 ათასი ლარის ზარალით.

კომპანია 2014 წელს - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქუჩების, მოედნების, შიდა კვარტალური ტერიტორიების, ხევებისა და ფერდობების დასუფთავებას, მოსახლეობის, ინდივიდუალური მეწარმეებისა და იურიდიული პირების მიერ წარმოქმნილი მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების შეგროვება ტრანსპორტირებას, ნაგავსაყრელ პოლიგონზე ნარჩენების განთავსებას და გაუვნებელყოფას, ნარჩენების განთავსების საბოლოო ადგილების მართვას, თოვლცვენის დროს ქუჩებსა და მოედნებზე მარილის მოყრას, დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების მომსახურებას ახორციელებდა ქ. თბილისის მერიასთან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების¹⁰ საფუძველზე.

2015 წელს კომპანია იგივე მომსახურებას¹¹ და სკვერებისა და პარკების დაგვა - დასუფთავებას¹² ახორციელებდა - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის განკარგულების¹³ საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ

¹⁰ N3.2/30/510-4, სახელშეკრულებო ღირებულება - 47,999.9 ათასი ლარი, ბიუჯეტი დაზუსტდა 53,400.0 ათას ლარამდე, მიღებულია - 51,166.7 ათასი ლარი;

¹¹ გაიზარდა დასაგველი ფართობები;

¹² დაემატა;

¹³ N01.01.01.

სამუშაოებისათვის 2015 წელს ქ. თბილისის ბიუჯეტით „დასუფთავების ღონისძიებებისთვის“ გამოფილი ასიგნებებიდან¹⁴ 52,276.2 ათასი ლარი მიმართულია კომპანიის საწესდებო კაპიტალის გაზრდაზე, შესაბამისად აღნიშნული სახსრები ვერ აისახა კომპანიის ერთობლივ შემოსავალში და კომპანიამ 2015 წელი დაასრულა 57,580.3 ათას ლარის ზარალით.

ქ. თბილისის მერიის მიერ თბილისის დაგვა - დასუფთავების სამუშაოების(მომსახურების) ასეთი პრინციპით დაფინანსების შემთხვევაში, ამ ღონისძიებებზე კომპანიის მიერ გაწეული დანახარჯები ვერ გადაიფარება შემოსავლებით (რეალიზაციით) და შესაბამისად ყოველწლიურად გაიზრდება კომპანიის ზარალი, მაშინ როდესაც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული პირებისათვის სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის გაუნაწილებელი მოგება (ზარალი), ანუ ამ შემთხვევაში ზარალი - 77,134.8 ათას ლარს შეადგენს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, 2015 წლისათვის ქალაქის დასუფთავების ღონისძიებებზე გამოყოფილია 55,900.0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხიდან 3623,8 ათასი ლარით დაფარულია 2014 წლის დეკემბრისთვის გაწეული მომსახურების დავალიანება¹⁵, ხოლო 52,276.2 ათასი ლარი, როგორც ზევით იქნა აღნიშნული მიმართულია კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად.

ქ. თბილისის 2015 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით დასუფთავების ღონისძიებებზე¹⁶ გათვალისწინებული იყო 55,900.0 ათასი ლარის ასიგნება¹⁷, მაშინ როდესაც კომპანიის მიერ კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურში წარდგენილი¹⁸ ხარჯთაღრიცხვა (ეკონომიკური მუხლების მიხედვით) მხოლოდ 52,000.0 ათას ლარს¹⁹ შეადგენდა.

ხარჯთაღრიცხვაში არ არის ასახული კომპანიის საბანკო ანგარიშებზე 2015 წლის 1 იანვრისათვის განთავსებული 3,404.0 ათასი ლარი, ასევე ერთობლივ შემოსავლებში არ არის ასახული საკუთარი შემოსავლები, რამაც 2015 წელს 1,837.2 ათასი ლარი შეადგინა²⁰. შეუსაბამობაა ხარჯვით ნაწილშიც²¹.

რეკომენდაცია:

გადაიხედოს დაგვა-დასუფთავების ღონისძიებებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების კომპანიის საწესდებო კაპიტალში ასახვის მიზანშეწონილობის საკითხი, რამდენადაც ასეთი პრინციპით კომპანიის დაფინანსება იწვევს ყოველწლიურად ზარალის ზრდას.

¹⁴ 55,900.0 ათასი ლარი;

¹⁵ შესრულებული მომსახურების;

¹⁶ კოდი - 3.2.;

¹⁷ რაც კომპანიას სრულად აქვს მიღებული;

¹⁸ ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ;

¹⁹ აღნიშნული თანხა განუსაზღვრა კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურმა;

²⁰ 2014 წელს 978.8 ათასი ლარი შეადგინა;

²¹ შრომის ანაზღაურებაზე ფაქტობრივად გახარჯულია 37,687,7 ათასი ლარი, ნაცვლად ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული 32,476.7 ათასი ლარისა და სხვა.

2. საწესდებო კაპიტალის მოძრაობა

შესრულებული სამუშაოების დაფინანსების ზემოთ აღნიშნული პრინციპის გამო ყოველწლიურად იზრდება კომპანიის საწესდებო კაპიტალი, ხოლო მცირდება საკუთარი კაპიტალი. ინფორმაცია კომპანიის 2014 – 2015 წლების საწესდებო კაპიტალის მოძრაობის შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

დასახელება	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო ფონდი	გაუნაწილებელი მოგება(ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2013.	75,352.3	126.3	(11,982.7)	63,495.8
წმინდა მოგება(ზარალი) საწესდებო კაპიტალის გაზრდა	7,200.6		(7,571.8)	
ნაშთი 31.12.2014.	82,552.9	126.3	(19,554.6)	63,124.7
წმინდა მოგება(ზარალი) საწესდებო კაპიტალის გაზრდა	52,322.6		(57,580.3)	
ნაშთი 31.12.2015.	134,875.6	126.3	(77,134.8)	57,867.1

სულ 2014 -2015 წლებში კომპანიის საწესდებო კაპიტალში მიღებული და ასახულია 59,523.2 ათასი ლარი, მათ შორის: პრემიებისა და ხელფასებზე დანამატების სახით მიღებული აქვს - 5,700.6 ათასი ლარი, სპეც. ტექნიკის და კონტეინერების შესაძენად - 5,400.0 ათასი ლარი, დაგვა - დასუფთავების მიმდინარე ხარჯების დაფინანსებისათვის - 48,376.1 ათასი ლარი და 46.5 ათასი ლარის ინვენტარი მიღებული აქვს უსასყიდლოდ²².

3. საწვავის ჩამოწერა

კომპანია დებულებით გათვალისწინებული უფლება - მოვალეობებისა²³ და სახელშეკრულებო²⁴ პირობების შესრულებას უზრუნველყოფს როგორც ბალანსზე რიცხული ტექნიკური საშუალებებით, ასევე თანამშრომელთა კუთვნილი²⁵

²² კერხერები;

²³ ქ. თბილისის მთავრობის 2013 წლის 31 მაისის N17.48.668 დადგენილებით დამტკიცებული დებულება;

²⁴ ქ. თბილისის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N01.01.01 განკარგულება;

²⁵ სარგებლობაში არსებული.

სატრანსპორტო საშუალებებით. პერიოდების მიხედვით კომპანიის ბალანსზე რიცხული ტექნიკური საშუალებების სახეობები და ოდენობა ასახულია ცხრილში:

დასახელება	ნაშთი 01.01.2014	ნაშთი 01.01.2015	ნაშთი 01.01.2016
მსუბუქი ავტომობილი	101	101	106
ნაგავშიდები	291	303	259
ტრაქტორი	10	10	17
სხვა მოწყობილობები	37	37	38
სხვა სპეც.მანქანები	48	50	53
გენერატორები	6	6	6
სულ ჯამი	493	507	479

როგორც ცხრილიდან ჩანს 2014 წელთან შედარებით 2016 წლის 1 იანვრისათვის კომპანიის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების საერთო ოდენობა შემცირებულია 14 ერთეულით²⁶.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა კომპანიის თანამშრომლები სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად იყენებდნენ მათ კუთვნილებაში (სარგებლობაში) არსებულ მსუბუქ ავტომანქანებს, კერძოდ: 2014 წელს 99, ხოლო 2015 წელს - 115 ავტომანქანას.

2015 წელს კომპანიას სათანადო დასაბუთების გარეშე შპს „კია მოტორს ჯორჯია“ - სგან შეძენილი აქვს 2 ერთეული „კია რიო“ და 4 ერთეულია „კია პიკანტო“ ღირებულებით 153.1 ათასი ლარი. მათი შეძენის თარიღისათვის საშუალოდ ორ თანამშრომელზე (ტექნიკური პერსონალის გარდა) ერთი ავტომანქანა მოდიოდა.

2014 წელს კომპანიაში კერძოდ, ადმინისტრაციაში ²⁷ და განყოფილებებში (სამსახურებში) ხელმძღვანელ - ზედამხედველ თანამდებობებზე დასაქმებული 308²⁸ თანამშრომელის სარგებლობაში იყო 194²⁹ ერთეული მსუბუქი სატრანსპორტო საშუალება ³⁰, ხოლო 2015 წელს ანალოგიურად კომპანიის 273³¹ თანამშრომელის სარგებლობაში იყო 211³² ერთეული.

აუღირებულ პერიოდში კომპანიის მიერ შეძენილია -1,744.6 ათასი ლარის ღირებულების ³³ 1,166.5 ათასი ლიტრი ბენზინი და 7,908.7 ათასი ლარის ღირებულების³⁴ 5,515.9 ათასი ლიტრი დიზელის საწვავი³⁵.

²⁶ რაც გამოწვეულია აუღირებულ პერიოდში 49 ერთეული ექსპლუატაციისათვის გამოუსედაგარი სატრანსპორტო საშუალების ჩამოწერა-რეალიზაციითა და 35 ერთეულის შეძენით;

²⁷ ყველა;

²⁸ საშუალო წლიური რაოდენობა;

²⁹ საშუალოდ ბალანსზე რიცხული 95 და თანამშრომელთა კუთვნილი 99 ერთეული;

³⁰ რომელშიც საწვავის ჩასხმა ხდებოდა;

³¹ საშუალო წლიური რაოდენობა;

³² საშუალოდ ბალანსზე რიცხული 96 და თანამშრომელთა კუთვნილი 115 ერთეული;

³³ დღგ -ს გარეშე.

ამავე პერიოდში გახარჯულია 1,173.2 ათასი ლიტრი ბენზინი - 1,755.0 ათასი ლარის³⁶ და 5,514.1 ათასი ლიტრი დიზელი - 7,911.4 ათასი ლარის³⁷, რაც 6.7 ათასი ლიტრით აღემატება ამავე პერიოდში შეძენილი საწვავის რაოდენობას, რაც გამოწვეულია წინა წლებში შეძენილი საწვავის ტალონების საუდიტორო პერიოდში ხარჯვით.

საწვავის ხარჯი წლებისა და ტექნიკური საშუალებების მიხედვით მოყვანილია ცხრილში:

ავტომანქანის სახეობა	რაოდენობა		ჩამოწერილი საწვავის რაოდენობა 2014წ			
			ბენზინი		დიზელი	
	ბენზინი	დიზელი	ლიტრი	თანხა	ლიტრი	თანხა
სატვირთო და სპეციალური ტექნიკა	22	264	66,726	105,430	2,573,950	4,019,097
მსუბუქი (ბალანსი)	96	1	270,314	427,104	3,879	6,057
მსუბუქი (საკუთარი)	93	6	243,071	384,060	17,084	26,676
დამხმარე ტექნიკა	9	5	1,846	2,917	10,601	16,553
სულ	220	276	581,957	919,511	2,605,514	4,068,382

ავტომანქანის სახეობა	რაოდენობა		ჩამოწერილი საწვავის რაოდენობა 2015 წ			
			ბენზინი		დიზელი	
	ბენზინი	დიზელი	ლიტრი	თანხა	ლიტრი	თანხა
სატვირთო და სპეციალური ტექნიკა	18	265	66,411	93,838	2,880,302	3,805,646
მსუბუქი (ბალანსი)	102	1	246,365	348,114	3,569	4,716
მსუბუქი (საკუთარი)	109	6	275,945	389,910	16,584	21,911
დამხმარე ტექნიკა	19	5	2,570	3,632	8,131	10,743
სულ	248	277	591,291	835,495	2,908,585	3,843,016

რამდენადაც კომპანიის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებები და სპეცტექნიკა მოძველებული იყო და უმეტეს ნაწილს არ უმუშავებდათ ოდომერტები, კომპანიის მიმართვის საფუძველზე, ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ 2011 – 2014 წლებში 159 ერთეულ ტექნიკურ საშუალებას ჩაუტარდა სატრანსპორტო ტექნიკურ -ტრასოლოგიური

³⁴ დღგ - ს გარეშე;

³⁵ მათ შორის: 2014 წელს - 576.4 ათასი ლიტრი ბენზინი - 910.7 ათასი ლარის და დიზელი 2,604.6 ათასი ლიტრი, 4,067.5 ათასი ლარის; 2015 წელს 590.1 ათასი ლიტრი ბენზინი - 833.9 ათასი ლარის და დიზელი 2,911.3 ათასი ლიტრი 3,841.2 ათასი ლარის;

³⁶ დღგ - ს გარეშე;

³⁷ დღგ - ს გარეშე.

ექსპერტიზა, რაც წლებისა და ტექნიკური საშუალებების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

ა/მ - ის დასახელება	წლები				ჯამი
	2011	2012	2013	2014	
სატვირთო ავტომანქანა	76	12	4	2	94
მსუბუქი ავტომანქანა	46	7	1	-	54
სხვა ტექნიკა	10	1	-	-	11
სულ ჯამი:	132	20	5	2	159

ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ტექნიკურ საშუალებებზე დადგენილი საწვავის ხარჯვის ნომრები კომპანიას ასევე გავრცელებული აქვს მის ბალანსზე რიცხულ იგივე მარკის და ძრავის მოცულობის - 216 ერთეულ საშუალებაზე³⁸, მიუხედავად მათი გამოშვების წლისა და ძრავის ტექნიკური მდგომარეობისა.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ ანალოგიის სახით მიყენებულ ზოგიერთ სატრანსპორტო საშუალებების სარეგისტრაციო მოწმობებში არ არის დაფიქსირებული ძრავის მოცულობები³⁹. გარდა აღნიშნულისა 2014 წელს ანალოგია გავრცელებულ - 109 და 2015 წელს - 113 ერთეულ ავტომანქანას ოდომეტრი ან საერთოდ არ ჰქონდა ან არ მუშაობდა.

აუდირებულ პერიოდში ანალოგია-მიყენებულ სატრანსპორტო საშუალებებზე⁴⁰ ჩამოწერილია - 187.4 ათასი ლარის ღირებულების⁴¹ - 125.6 ათასი ლიტრი ბენზინი და 5,682.1 ათასი ლარის ღირებულების⁴² - 3,963.8 ათასი ლიტრი დიზელის საწვავი, რაც მთლიანი ხარჯის შესაბამისად 10.7% და 71.8% - ს შეადგენს.

ამავე პერიოდში იმ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებსაც ოდომეტრი არ ჰქონდათ, ან გამოსული იყო მწყობრიდან სულ ჩამოწერილია 134.9 ათასი ლიტრი - 201.9 ათასი ლარის ბენზინი და 3,583.9 ათასი ლარის 2,498.9 ათასი ლიტრი დიზელი. - 3,583.9, რაც მთლიანი ბენზინის და დიზელის ხარჯის 11.5 % და 45.3% - ს შეადგენს.

როგორ ზევით იქნა აღნიშნული კომპანიის მიერ შეძენილი საწვავის ხარჯვა (მოხმარება) ხდებოდა როგორც კომპანიის ბალანსზე რიცხულ, ასევე თანამშრომელთა კუთვნილ მსუბუქ ავტომანქანებზე⁴³.

იმის გამო, რომ კომპანია თანამშრომლებთან მათ კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებებზე არ ახდენდა საიჯარო ხელშეკრულებების გაფორმებას, მათზე გაცემული ლიმიტირებული საწვავი იბეგრებოდა, როგორც მიწოდება დამატებული ღირებულების გადასახადით (146.8 ათასი ლარი) და როგორც ხელფასთან გათანაბრებული განაცემი

³⁸ სატვირთო;

³⁹ 76 შემთხვევაში;

⁴⁰ მათ შორის ოდომეტრების არმქონე სატრანსპორტო საშუალებები;

⁴¹ დღგ - ს გარეშე;

⁴² დღგ - ს გარეშე;

⁴³ რაც გამოიყენებოდა სამსახურებრივი საჭიროებისათვის.

საშემოსავლო გადასახადით (240.7 ათასი ლარი), რითაც აუდირებულ პერიოდში კომპანიის ხარჯები გაზრდილია 387.5 ათასი ლარით.

სამსახურებრივი მიზნებისათვის⁴⁴ გამოყენებულ კერძო ავტომანქანებთან დაკავშირებით ვერ იქნა წარმოდგენილი ავტომანქანების რეგისტრაციის მოწმობები და თანამშრომელთა მართვის მოწმობები, რის საშუალებითაც მოხდებოდა სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის იდენტიფიცირება.

საწვავის მიმწოდებელი კომპანიების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლით გამოვლინდა როგორც კომპანიის ბალანსზე რიცხულ, ასევე საკუთარ მსუბუქ ავტომანქანებში - ქ. თბილისის გარეთ მდებარე ავტოგასამართ სადურებში საწვავის ჩასხმის შემთხვევები, კერძოდ აუდირებულ პერიოდში ქალაქგარეთ სულ ჩასხმულია 16,665 ლიტრი ბენზინი - 25,417 ლარის⁴⁵, მათ შორის კომპანიის კუთვნილში - 10,997 ლიტრი⁴⁶ და სამსახურის საჭიროებისთვის გამოყენებულ პირად ავტომანქანებში - 5,668 ლიტრი⁴⁷.

კომპანიის 2014 წლის 26 სექტემბრის ბრძანებით⁴⁸, განპიროვნებული ავტომანქანებით სარგებლობა სამუშაო დღეებში (ორშაბათიდან პარასკევი დღის ჩათვლით) შეეძლო კომპანიის ყველა თანამშრომელს, ხოლო კვირის დასრულების შემდგომ ავტომანქანები უნდა გაჩერებულიყო კომპანიის ავტოსადგომზე. დასვენების დღეებში კომპანიის ბალანსზე რიცხული ავტომანქანებით სარგებლობა, შესაძლებელი იყო მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში კომპანიის დირექტორთან შეთანხმებით.

კომპანიამ ვერ წარმოადგინა ვერანაირი მტკიცებულება (აღრიცხვის ჟურნალები, ან სხვა დოკუმენტები) დასვენების დღეებში კომპანიის ავტოსადგომზე, მის ბალანსზე რიცხული იმ ავტომანქანების განთავსების შესახებ, რომელთა გამოყენებაზეც კომპანიის დირექტორის თანხმობა მიღებული არ ყოფილა⁴⁹.

გარდა აღნიშნულისა კომპანიის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალების თანამშრომლებზე გადაცემისას⁵⁰, 2014 წელს არ ხდებოდა ტრანსპორტის განყოფილების უფლებამოსილ პირსა და შესაბამის თანამშრომელს შორის შესაბამისი მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმება.

რეკომენდაცია:

კომპანიამ სატრანსპორტო საშუალებებზე/სპეციალურ ტექნიკაზე გახარჯული საწვავის ჩამოწერა განახორციელოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის N230 ბრძანებით დამტკიცებული „ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ძირითად საშუალებებზე(ავტოსატრანსპორტი, სპეცტექნიკა და სხვა) გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის წესის“ შესაბამისად.

⁴⁴ 2014 – 2015 წლებში;

⁴⁵ დღგ - ს გარეშე;

⁴⁶ 16,721 ლარი;

⁴⁷ 8,696 ლარი;

⁴⁸ N02772;

⁴⁹ შეთანხმება ხდებოდა სიტყვიერად;

⁵⁰ დირექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე.

4. სპეცტექნიკის სათადარიგო ნაწილები

აუდირებულ პერიოდში, ბალანსზე რიცხული სპეცტექნიკის სარემონტო სამუშაოებზე კომპანიის მიერ გაწეულია 4,494.1 ათასი ლარის ხარჯი. 2014 წელს ჩასატარებელ სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით არ არის შედგენილი დეფექტური აქტები⁵¹. სათადარიგო ნაწილების შეცვლასთან დაკავშირებით შესრულებული სამუშაოს აქტების ნაცვლად წარმოდგენილია „სათადარიგო ნაწილების განაწილების რეესტრი“⁵². აღნიშნული დოკუმენტით გაურკვეველია მოხდა თუ არა სათადარიგო ნაწილის დაყენება/შეცვლა. იმ პირობებში, როდესაც წარმოდგენილი დოკუმენტებით ტექნიკაზე შეცვლილია სხვადასხვა სახის ნაწილები, სპეცტექნიკის საგზაო ბარათებში არ არის ასახული დროის ის მონაკვეთი, როდესაც დაზიანების შედეგად მექანიზმების/სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაცია არ ხდებოდა. სარემონტო სამუშაოების შედეგად გამოცვლილი ლითონის შემცველი, გამოსაყენებლად უვარგისი ნაწილები ბუღალტრულად აღურიცხავია და არც ინვენტარიზაციის მასალებშია⁵³ ასახული.

საბურავების ხარჯთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სატრანსპორტო საშუალებაზე (ნაგავმზიდები) ადგილი ჰქონდა საბურავების ხშირ ცვლას თუმცა დოკუმენტებით ვერ ირკვევა ასეთის აუცილებლობა.

აუდიტორული შერჩევით შემოწმებული იქნა 7 ანალოგიური მოდელის ნაგავმზიდი, რომლებიც გადაადგილდებოდნენ ერთიდაიგივე მარშრუტზე. დადგინდა, რომ 2014 წელს მათზე შეცვლილი იყო 194 ერთეული საბურავი. ხოლო 2015 წელს 144 ერთეული საბურავი. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში საბურავების კომპლექტი (10 ცალი) იცვლებოდა დაახლოებით 16,0 ათასი კილომეტრის გავლის შემდეგ, ზოგიერთ შემთხვევაში კი 40.0 ათასი კილომეტრის გავლის შემდეგ.

⁵¹ დეფექტური აქტები შედგენილია 2015 წლიდან - შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორის 2015 წლის 5 მარტის N0297 ბრძანებით დამტკიცებული „სატრანსპორტო საშუალებათა აღრიცხვისა და ექსპლოატაციის შესახებ“ დებულება;

⁵² რომელსაც ხელს აწერენ ტრანსპორტის განყოფილების უფროსი/მოადგილე, სარემონტო სამუშაოს უფროსი, მექანიკოსი და მძღოლი;

⁵³ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა: სამეურნეო წლის ბოლოს, გარდა იმ ქონებისა და ვალდებულებებისა, რომელთა სრული ან ნაწილობრივი ინვენტარიზაცია ჩატარებულია სამეურნეო წლის დასრულებამდე სამი თვის განმავლობაში.

რეკომენდაცია:

მიზანშეწონილია ტექნიკის საგზაო ბარათში მიეთითოს მექანიზმების/სატრანსპორტო საშუალებების გაჩერების პერიოდი, საბურავების გამოცვლასთან დაკავშირებით დაკონკრეტდეს საბურავის შეცვლის მიზეზი,სარემონტო სამუშაოების შედეგად გამოცვლილი და გამოსაყენებლად უვარგისი ლითონის შემცველი ნაწილები თავისდროულად იქნეს შემოსავალში აღებული.

5. ტექნიკური მარილის მიღება - ჩამოწერა

კომპანიის მიერ ქალაქ თბილისის მერიისათვის გასაწევი მომსახურების ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენდა თოვლცვენის დროს ქუჩებსა და მოედნებზე მარილის მოყრის მომსახურება.

კომპანიისაგან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად მათ მიერ მარილის მოყრა ხორციელდებოდა არა მხოლოდ თოვლცვენის დროს, არამედ ყინულიან გზებზეც. მათივე განმარტებით მარილის მოყრა ხდებოდა როგორც სპეციალური მანქანების მეშვეობით, ასევე ხელით სპეც. მორიგე ბრიგადის დამგველების დახმარებით. ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია რომელი სტანდარტის შესაბამისად ხელმძღვანელობდა კომპანია აღნიშნული მომსახურების გაწევისას.

საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად ⁵⁴, დეპარტამენტი ზამთრის პერიოდში თოვლისა და ლიპყინულის საწინააღმდეგოდ საავტომობილო გზებზე უზრუნველყოფს ქვიშა - მარილის ნარევის გამოყენებას, სადაც მარილის წილი ნარევის მთლიანი მოცულობის მხოლოდ 20% - ს შეადგენს. აღნიშნული საკითხი რეგულირდება საავტომობილო გზების შეკეთებისა და მოვლა - შენახვის ტექნიკური წესებით (BCH 24 – 88). ამავე წესებით რეგულირდება ერთ კვადრატულ მეტრზე მოსაყრელი ნარევის ოდენობა.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია კომპანიის მიერ 2014 – 2015 წლებში შეძენილი ტექნიკური მარილის და ამავე პერიოდში გახარჯული მარილისა და წიდის რაოდენობების შესახებ:

დასახელება	ნაშთი 01.01.2014		მიღება		ხარჯი		ნაშთი 01.01.2015	
	რაო-ზა	თანხა	რაო-ზა	თანხა	რაო-ზა	თანხა	რაო-ზა	თანხა
მარილი	3 373.73	492.60	7 062.28	855.10	4 130.20	564.20	6 605.76	783.40
წიდა	92.80	0.70			12.00	0.10	80.80	0.70
	ნაშთი 01.01.2015						ნაშთი 01.01.2016	
მარილი	6605.76	783.40			1293.76	146.80	5312.00	636.60
წიდა	80.80	0.70			7.00	0.10	73.80	0.60

⁵⁴ 2016 წლის 1 ივნისის წერილი N2 – 09/4474.

როგორც ცხრილიდან ჩანს აუდირებულ პერიოდში კომპანიას სხვადასხვა მიმწოდებლებისაგან შეძენილი აქვს 7,062.3 ტონა ტექნიკური მარილი. ამავე პერიოდში სულ ჩამოწერილია - 5,424.0 ტონა ტექნიკური მარილი⁵⁵ და 19.0 ტონა წიდა⁵⁶, რაც გახარჯული მარილის 0.35% -ს შეადგენს.

საავტომობილო გზების შეკეთებისა და მოვლა - შენახვის ტექნიკური წესებით ხელმძღვანელობის შემთხვევაში, კომპანიას აუდირებულ პერიოდში ნაცლად 5,424.0 ტონისა უნდა გაეხარჯა 1.084.8 ტონა მარილი⁵⁷, ანუ 568.8 ათასი ლარის ღირებულების⁵⁸ 4,339.2 ტონა მარილით ნაკლები.

კომპანიას ასევე არ აქვს დაცული მასზე დღეის მდგომარეობით ფაქტობრივად რიცხული მარილი შენახვის წესები, კერძოდ მარილი განთავსებულია ღია ცის ქვეშ და განიცდის ბუნებრივ ზემოქმედებას. მაშინ როდესაც ზემოაღნიშნული წესებით მარილი განთავსებული უნდა იყოს დახურულ სასაწყობო ნაგებობებში, რათა უზრუნველყოფილი იქნას დატენიანებისაგან მისი დაცვა.

აუდიტის ჯგუფის მიერ გარემოს ეროვნულ სააგენტოდან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია, ქ. თბილისში 2013 – 2016 წლებში ზამთრის პერიოდში დაფიქსირებული მინიმალური ტემპერატურის, თოვლიან დღეთა რაოდენობისა და თოვლის საფარის სიმაღლის შესახებ. აღნიშნული ინფორმაციისა და კომპანიის მიერ ზამთრის პერიოდში მოყრილი მარილის პერიოდების (დღეების) შედარებით გამოვლინდა, რომ კომპანიას მარილი მოყრილი აქვს იმ დღეებშიც როდესაც გარემოს ეროვნულ სააგენტოდან მიღებულ ინფორმაციებში ყინვა და თოვლი არ დაფიქსირებულა. ასე მაგალითად, 2014 წლის იანვარში ჩამოწერილია 984.43 ტონა მარილი და 8 ტონა წიდა მაშინ, როდესაც სააგენტოდან მიღებული ინფორმაციით თოვლცვენა დაფიქსირდა მხოლოდ სამ დღეს (14, 30 და 31 იანვარი). ამასთან, თოვლის საფარის სიმაღლე და უარყოფითი ტემპერატურა არ დაფიქსირებულა. 2014 წლის ნოემბერში ჩამოწერილია 365 ტონა მარილი, მაშინ როდესაც თოვლცვენა და უარყოფითი ტემპერატურა საერთოდ არ დაფიქსირებულა. 2015 წლის თებერვალში ჩამოწერილია 705 ტონა მარილი, მაშინ როდესაც თოვლცვენა დაფიქსირდა მხოლოდ სამ დღეს, ხოლო უარყოფითი ტემპერატურა ერთ დღეს, 2015 წლის მარტსა და აპრილში 368 ტონა და 98.4 ტონა. ამავე დროს აღნიშნულ თვეებში თოვლცვენა და უარყოფითი ტემპერატურა დაფიქსირებული არ ყოფილა.

ძირითადად ასეთი ფაქტები ფიქსირდება დაბა კოჯრისა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე, თუმცა ინფორმაცია ამ ადგილებში თოვლცვენისა და დაფიქსირებული ტემპერატურის შესახებ გარემოს ეროვნულ სააგენტოს არ გააჩნია⁵⁹.

⁵⁵ 711.0 ათასი ლარის, დღგ -ს გარეშე;

⁵⁶ 0.2 ათასი ლარის, დღგ -ს გარეშე;

⁵⁷ $5,424.0 * 20\% = 1,084.8$ ტონა, დღგ -ს გარეშე - 142.2 ათასი ლარი;

⁵⁸ დღგ -ს გარეშე;

⁵⁹ სააგენტოს წერილი - N21/4999, 27.05.2016.

რეკომენდაცია:

არსებული პრაქტიკის(სტანდარტის) შესაბამისად კომპანიამ შეიმუშავოს მარილისა და წილის შერევისა და გამოყენების წესი.

6. კომპანიის სამსახურების საქმიანობის შესაბამისობა კანონმდებლობასთან და დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან

6.1. საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მარშრუტების მართვის სამსახური

კომპანიის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მარშრუტების მართვის სამსახურის⁶⁰ ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ნაგავმზიდი სპეც. მანქანების მოძრაობის ოპტიმალური მარშრუტების შედგენა ქალაქის თითოეულ უბანზე⁶¹. კონკრეტულ მარშრუტზე საჭირო სამუშაო ცვლების რაოდენობის და მორიგე-შემოვლის მანქანების იმ მინიმალური რაოდენობის განსაზღვრა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ნარჩენების დროული შეგროვება-გატანა. აუდიტებულ პერიოდში სამსახურის ფუნქციონირებისათვის გაწეულმა ხარჯმა 760.7 ათასი ლარი შეადგინა⁶². სამსახურში 2014 წელს დასაქმებული იყო საშუალოდ 23, ხოლო 2015 წელს - 24 თანამშრომელი. 2014 წელს სამსახურს საშუალოდ ემსახურებოდა - 6⁶³, ხოლო 2015 წელს 8 ერთეული⁶⁴ მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალება.

აუდიტით დადგინდა, რომ სპეც მანქანების მოძრაობის მარშრუტები შედგენილი იყო 2007-2010 წლებში. სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად ცვლილებები მარშრუტებზე დგინდებოდა ყოველკვირეულად, წინასწარ მათთვის ცნობილი ფაქტორების გათვალისწინებით, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე კონკრეტულ საკითხზე მყისიერად, ზეპირსიტყვიერად. თუმცა მარშრუტებში ცვლილებების შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილი ვერ იქნა. ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება⁶⁵, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მარშრუტების მართვის სამსახურთან ან ზემდგომთან⁶⁶ შეთანხმებული და დამტკიცებული საბაზისო მარშრუტების შესახებ.

ზემოაღნიშნულთან მიმართებაში ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სატვირთო ავტომანქანებზე⁶⁷ საწვავის ჩამოწერა უმეტეს შემთხვევაში არ ემყარება

⁶⁰ რაიონულ განყოფილებებთან ერთად;

⁶¹ ასევე რაიონულ განყოფილებების ფუნქციებში შედის;

⁶² მათ შორის შრომის ანაზღაურება - 686.2 ათასი ლარი, საწვავის ხარჯი - 38.3 ათასი ლარი, ა/მ მოვლა-შენახვის ხარჯი - 6.2 ათასი ლარი, ა/მანქანებზე დარიცხული ცვეთა - 19.9 ათასი ლარი და საკანცელარიო ხარჯი - 10.1 ათასი ლარი;

⁶³ მათ შორის 1 საკუთარი ავტომანქანა;

⁶⁴ 4 საკუთარი;

⁶⁵ ბრძანება, მოხსენებითი ბარათი, ან სხვა დოკუმენტი;

⁶⁶ დირექტორი, კურატორი მოადგილე;

⁶⁷ ძირითადად ნაგავმზიდებზე;

ოდომეტრის ჩვენებას⁶⁸, რაც შესაბამისად ზრდის საწვავის არამიზნობრივად გამოყენების ან დატაცების რისკს.

აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში, კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად ჩატარდა ექვსი მარშუტის ქრონომეტრაჟი. ოთხ შემთხვევაში განყოფილებების⁶⁹ მიერ საწვავის ჩამოწერისას გამოყენებული მარშუტების მანძილები დაემთხვა ქრონომეტრაჟით დადგენილ (გაზომილ) მანძილს, ხოლო ორ შემთხვევაში გაზომილი მანძილები 3⁷⁰ და 11⁷¹ კილომეტრით აღემატებოდა პრაქტიკაში გამოყენებულს.

რეკომენდაცია:

შემუშავებული და დამტკიცებული იქნას ნაგავმზიდი სპეც. მანქანების მოძრაობის ოპტიმალური საბაზისო მარშუტები და მათში ცვლილებების შეტანის წესი.

6.2. სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლოატაციის N1 და N2 განყოფილებები

დებულების თანახმად, კომპანიის სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლოატაციის N1 და N2 განყოფილებების კომპეტენციას განეკუთვნება დედაქალაქის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე და სადრენაჟე სისტემების მომსახურების მართვის ორგანიზება. განყოფილების ფუნქციებს წარმოადგენს არსებული სანიაღვრე და სადრენაჟე კოლექტორების, წვიმმიმღები და საკონტროლო ჭების, არხებისა და კიუვეტების, სატრანსპორტო საშუალებების, მექანიზმების სწორი ექსპლოატაცია, ტექნიკური მზადყოფნის უზრუნველყოფა, მათი სანიტარულ-ესთეტიკური მდგომარეობის კონტროლი. დადგენილ ვადებში ქუჩების, მოედნების და შიდაკვარტალური ტერიტორიების სანიაღვრე და სადრენაჟე სისტემის მოვლა პატრონობა.

2014 და 2015 წლებში თბილისის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად⁷² კომპანია თავის თავზე იღებდა დედაქალაქში სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლოატაციის მომსახურებას. ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს თბილისის მერიის მხრიდან ახორციელებდა მერიის კეთილმოწყობის სამსახური⁷³.

⁶⁸ განვლილ მანძილის მიხედვით - განსაზღვრული ნორმით არ ხდება.

⁶⁹ გადამზიდი სადგური, N5 განყოფილება, N1 განყოფილება;

⁷⁰ N2 განყოფილება;

⁷¹ N განყოფილება;

⁷² შპს „თბილსერვის ჯგუფმა“ გაიმარჯვა მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში. ტენდერებში მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ერთი პრედენდენტი. 2014 წლის 23 იანვარს და 2015 წლის 16 იანვარს ხელშეკრულებები;

⁷³ მიღება ჩაბარების აქტებს ხელს აწერს კეთილმოწყობის სამსახურის ექსპლოატაციის განყოფილების უფროსი.

როგორც 2014, ასევე 2015 წელს ხელშეკრულების ღირებულება განსაზღვრულია 2,000.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის დღგ - 305.1 ათასი ლარი.

ორივე წელს ხელშეკრულებებში განხორციელებული ცვლილებები შეეხო მხოლოდ სამუშაოთა მოცულობებს⁷⁴, ხოლო სახელშეკრულებო ღირებულებები უცვლელი დარჩა.

აუდიტით დადგინდა, რომ 2014 წელს ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებამ⁷⁵ და შესაბამისად თბილისის მერიიდან მიღებულმა თანხებმა 1,925.0 ათასი ლარი⁷⁶, ხოლო 2015 წელს 1,941.4 ათასი ლარი⁷⁷ შეადგინა. ანუ როგორც 2014 წელს, ასევე 2015 წელს ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულებაზე ნაკლებია⁷⁸.

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებები არ განსაზღვრავს კონკრეტულად ჩასატარებელ სამუშაოებს და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კომპანიის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დეფექტური აქტები, ჩვენ ვერ მივიღეთ კონკრეტული სამუშაოების ჩატარების აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება. ამასთან, წარმოდგენილი ხარჯთაღიციხვების⁷⁹ შესაბამისად ჩამოწერილი მასალების ოდენობები განსხვავდება კომპანიის საბუღალტრო დოკუმენტების მიხედვით ჩამოწერილი მასალების ოდენობებისგან.

2014-2015 წლებში სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლოატაციის N1 და N2 განყოფილებების მიერ გაწეულია 3,480.4 ათასი ლარის ხარჯი⁸⁰, მათ შორის შრომის ანაზღაურება - 2,190.7 ათასი ლარი⁸¹, საწვავი - 389.0 ათასი ლარი⁸², დარიცხული ცვეთა - 431.1 ათასი ლარი, ა/მ მოვლა - შენახვა - 124.6 ათასი ლარი, მასალების ხარჯი - 295.7 ათასი, ფორმის ტანსაცმელი - 35.6 ათასი ლარი, საკანცელარიო და სხვა სამეურნეო ხარჯი - 13.6 ათასი ლარი.

2014 წელს სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლოატაციის N1 და N2 განყოფილებების მიერ გაწეული ხარჯი მხოლოდ 0.3 ათასი ლარითაა ნაკლები შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებაზე (დღგ-ს გარეშე)⁸³, ხოლო 2015 წელს კი შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებას 204.0 ათასი ლარით აღემატება⁸⁴, ეს მაშინ როდესაც როგორც 2014, ასევე 2015 წელს ხელშეკრულების მიხედვით⁸⁵, გეგმიურ დაგროვებას ანუ მოგებას 121.9 ათასი ლარი უნდა შეედგინა. რაც შეეხება 2015 წლის ხარჯვითი ნაწილის ზრდას 2014 წელთან შედარებით, კომპანიის წარმომადგენლების განმარტებით იგი გამოიწვეულია 2015 წლის 13-14 ივნისის სტიქიური მოვლენებით. კერძოდ სტიქიური მოვლენების ლიკვიდაციის სამუშაოებმა გაზარდა

⁷⁴ 2014 წელს - 3 ნოემბერს, 2015 წელს - 18 ივნისსა და 9 ნოემბერს;

⁷⁵ მიღება - ჩაბარების აქტები;

⁷⁶ მ.შ. დღგ 293.5 ათასი ლარი;

⁷⁷ მ.შ. დღგ 296.1 ათასი ლარი;

⁷⁸ 2014 წელს 74.9 ათასი ლარი, 2015 წელს 58.6 ათასი ლარი;

⁷⁹ ფორმა N2;

⁸⁰ დღგ -ს გარეშე, 2014 წელს - 1,631.1 ათასი ლარი, 2015 წელს - 1,849.3 ათასი ლარი;

⁸¹ მ.შ: ხელფასი - 1,929.0 ათასი ლარი, დანამატი - 240.0 ათასი ლარი, დახმარება და ზეგანაკვეთური -21.6 ათასი ლარი;

⁸² მათ შორის კომპანიის კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებებზე ჩამოწერილი იყო 291.0 ათასი ლარის⁸², ხოლო საკუთარ ავტომანქანებზე 98.0 ათასი ლარის⁸² ღირებულების საწვავი;

⁸³ 1,925,0-293.6=1,631.4-1,631.1=0.3 ათასი ლარი;

⁸⁴ 1,941.4-296.1=1,645.3-1879.4=-234.1 ათასი ლარი;

⁸⁵ ხარჯთაღიციხვა.

საწვავის და მანქანა მექანიზმების სათადარიგო ნაწილების ხარჯი. სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლოატაციის თანამშრომლებზე ზემოაღნიშნულ პერიოდში მოხდა ზეგანაკვეთური სამუშაოთა შესაბამისი ანაზღაურება. ასევე, 2015 წლის აგვისტოში სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლოატაციის სამსახურისთვის შეძენილია ძირითადი საშუალებები ⁸⁶, რამაც თავის მხრივ გაზარდა მანქანა-მექანიზმების ცვეთის ხარჯები.

რეკომენდაცია:

კომპანიამ შესრულებული სამუშაოები აწარმოოს სათანადოდ შედგენილი დეფექტური აქტების საფუძველზე. შესრულებულ სამუშაოებზე გახარჯული მასალების ჩამოწერა განხორციელდეს მათი ფაქტობრივი ხარჯის შესაბამისად.

6.3. შიდა კონტროლის სამსახური

კომპანიის ერთ-ერთ სტრუქტურულ დანაყოფს წარმოადგენს შიდა კონტროლის სამსახური⁸⁷, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება კომპანიის დირექტორს. აუდირებულ პერიოდში სამსახურის ფუნქციონირებისათვის გაწეულმა ხარჯმა 643.4 ათასი ლარი შეადგინა⁸⁸. სამსახურში⁸⁹ 2014 წელს დასაქმებული იყო საშუალოდ 13 თანამშრომელი, ხოლო 2015 წელს - 12. 2014 წელს სამსახურს ემსახურებოდა საშუალოდ 11 მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალება⁹⁰, ხოლო 2015 წელს 8 ერთეული.

სამსახურის დებულების⁹¹ თანახმად სამსახური მუშაობას წარმართავს კომპანიის მიერ დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად, თუმცა ვერ იქნა წარმოდგენილი ⁹² სამუშაო გეგმები. დებულების⁹³ თანახმად სამსახური წარადგენს კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ. ამლევს რეკომენდაციებსა და წინდადებებს კომპანიის ეფექტურად მუშაობის თაობაზე. სამსახურის მიერ წარმოდგენილი იქნა მხოლოდ 2014 - 2015 წლების წლიური ანგარიშები, რომლებიც კომპანიის საქმისწარმოებისა და საარქივო განყოფილებაში არ შესულა და შესაბამისად მათ არ აქვს მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი. წარმოდგენილი ანგარიშები თითქმის იდენტურია.

სამსახურის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს კომპანიის სტრუქტურული დანაყოფების საქმიანობის შესწავლა. მათ მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების,

⁸⁶ ექსკავატორი და დამტვირთველი;

⁸⁷ 2015 წლის 1 იანვრამდე - მონიტორინგის განყოფილება;

⁸⁸ , მათ შორის შრომის ანაზღაურება - 491.6 ათასი ლარი; საწვავის ხარჯი - 77.9 ათასი ლარი; ა/მ მოვლა-შენახვის ხარჯი - 29.8 ათასი ლარი, ა/მანქანებზე დარიცხული ცვეთა - 44.0 ათასი ლარი და საკანცელარიო ხარჯი - 0.5 ათასი ლარი;

⁸⁹ საშტატო განრიგის თანახმად სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა განისაზღვრა 15 ერთეულით;

⁹⁰ მათ შორის აგვისტოს თვემდე 3 საკუთარი ავტომანქანა;

⁹¹ პირველი მუხლის 1.7. პუნქტი;

⁹² 2014; 2015 წლები;

⁹³ მეორე მუხლის 2.5. პუნქტი.

დაკისრებული ფუნქციებისა და სამუშაო გეგმების შესრულების მონიტორინგი და კონტროლის განხორციელება.

სამსახურის მიერ წარმოდგენილი იქნა მხოლოდ ერთი მოხსენებითი ბარათი,⁹⁴ რომელშიც ასახულია ინფორმაცია მყარი ნარჩენების განყოფილების მუშაობის შესახებ. თუმცა აღსანიშნავია, რომ არც წარმოდგენილი დოკუმენტი არ შესულა კომპანიის საქმისწარმოებისა და საარქივო განყოფილებაში და შესაბამისად მას არ აქვს მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი.

სამსახურის მიერ სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლების შემოწმებისა და შესაბამისი სამსახურებრივი მოკვლევის ჩატარების შედეგად 2014 წელს კომპანიის 165 თანამშრომელს, ხოლო 2015 წელს 150 თანამშრომელს დაკისრებული აქვს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

6.4. მოსაკრებლის დარიცხვა-ამოღების სამსახური

მოსაკრებლის დარიცხვა-ამოღების და კონტროლის სამსახური (შემდგომში სამსახური) წარმოადგენს ქ. თბილისის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა-ამოღების და კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილ სტრუქტურულ ერთეულს.

სამსახურის დებულებით⁹⁵ მის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:

- დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის სფეროში კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვის კონტროლი, რაც მოიცავს ქ. თბილისში იურიდიული და ფიზიკური პირების დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელად რეგისტრაციას, დარიცხვის შეწყვეტას, კორექციას, დარიცხული თანხის ამოღებას და კონტროლს;
- ბილინგის სისტემის კომპიუტერული ბაზის გამართულად მუშაობისა და საარქივო საქმიანობის ორგანიზება;
- პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონტროლი.

ქალაქ თბილისის მერიასა და კომპანიას შორის 2013 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად კომპანიის მიერ გასაწევი მომსახურების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენდა დასუფთავების მოსაკრებლის ამოღება, მონაცემთა ბაზების განახლება და სხვა. ხელშეკრულებაზე⁹⁶ დართული ხარჯთაღრიცხვის თანახმად აღნიშნული მომსახურების ღირებულება შეადგენდა 1,800.0 ათას ლარს⁹⁷.

2015 წელს კომპანია იგივე მოსახურებას ახორციელებდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N01.01.01. განკარგულების საფუძველზე.

⁹⁴ 2015 წლის ნოემბერი;

⁹⁵ 2013 წლის 31 ივლისის N01536 და 2014 წლის 31 დეკემბრის N03332;

⁹⁶ N3.2/30/510 – 4, საერთო ღირებულებით - 48,000.0 ათასი ლარი;

⁹⁷ მ.შ. - დღგ 274.6 ათასი ლარი.

თავის მხრივ კომპანიის მიერ, სს „თელასთან“⁹⁸ და ს.ს. „ენერგო-პრო“ - სთან⁹⁹ გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებდა ქ. თბილისში აბონენტების/მომხარებლების მიერ ადმინისტრირების ერთიანი ინტეგრირებული და კოორდინირებული სისტემის მეშვეობით დასუფთავების ტარიფის (საფასურის) დავალიანების, ასევე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდევინების უზრუნველყოფის მომსახურების შესყიდვას. ორივე ენერგოკომპანია იღებდა ვალდებულებას მიეწოდებინა ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში მოქცეული, მათ მომსახურების არეალში არსებული აბონენტებისათვის მათ მიერ გადასახდელი დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის (საფასურის) დავალიანებისა და დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის შესახებ ერთიანი ქვითარი, აღერიცხა გადახდილი თანხები და დადგენილ ვადაში გადაერიცხა ეს თანხები დანიშნულებისამებრ.

საბილინგო ხელშეკრულებების ღირებულებებისა და სამსახურის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების გათვალისწინებით დასუფთავების მოსაკრებლის ამოღებაზე გაწეულმა ხარჯმა 2014 წელს 1,796.0 ათასი ლარი¹⁰⁰, ხოლო 2015 წელს 1,965.8 ათასი ლარი შეადგინა¹⁰¹, რაც გამოწვეულია საბილინგო ხელშეკრულების ღირებულების გაზრდით.

აუდირებულ პერიოდში კომპანიას არ უსარგებლია ენერგოკომპანიებთან დადებული ხელშეკრულებებით მისთვის მინიჭებული უფლებით, მოეხდინათ შედარება (შედარების აქტის წარმოება) ენერგოკომპანიების სპეცანგარიშებზე დაგვა-დასუფთავებისათვის და ნარჩენების მართვის მომსახურებისათვის შემოსული და კომპანიის ანგარიშზე გადარიცხული თანხების შესახებ. აგრეთვე არ განხორციელებულა შედარება ენერგოკომპანიების ანგარიშებზე შემოსული და თბილისის მერიის ანგარიშზე ჩარიცხული თანხების შესახებ. ასეთი შედარებები პირველად განხორციელდა აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში. აღსანიშნავია, რომ კომპანიას გადამხდელთა საკუთარი ბაზა არ გააჩნია და ძირითადად ენერგოკომპანიებიდან მიღებულ ინფორმაციას ეყრდნობა. ენერგოკომპანიების კუთვნილ ბაზებთან მათი წვდომა კი შემოიფარგლება სტუმრის სტატუსით. შესაბამისად, ენერგოკომპანიების მხრიდან გადამხდელთა ბაზებზე არ დაშვების ან განადგურების შემთხვევაში კომპანიას არ გააჩნია ალტერნატიული სრულყოფილი საინფორმაციო ბაზა გადასახადის გადამხდელთა შესახებ.

2014 – 2015 წლებში ქ. თბილისის ბიუჯეტში დაგვა - დასუფთავების მოსაკრებლის სახით ჩარიცხულია 78,004.7 ათასი ლარი¹⁰², ხოლო დასუფთავების ტარიფის(საფასურის) სახით

⁹⁸ 2013 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 1,080.0 ათასი ლარი, მ.შ. დღგ 164.7 ათასი ლარი; 2014 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 1,416.0 ათასი ლარი, მ.შ. დღგ 216.0 ათასი ლარი;

⁹⁹ 2012 წლის 31 დეკემბრის ხელშეკრულება, 2013 წლის 17 ივნისი, 2013 წლის 31 დეკემბრის და 2014 წლის 31 დეკემბრის შეთანხმებები. ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 85.5 ათასი ლარი, მ.შ. დღგ 13.0 ათასი ლარი;

¹⁰⁰ საბილინგო - 1165.6 ათასი ლარი, შენახვის ხარჯი 630.4 ათასი ლარი;

¹⁰¹ საბილინგო - 1,501.5 ათასი ლარი, შენახვის ხარჯი - 464.3 ათასი ლარი;

¹⁰² 2014 წელს - 39,523.4 ათასი ლარი, მათ შორის: სს „თელასი“ - 38,464.8 ათასი ლარი და სს „ენერგო - პრო“ - 1,058.6 ათასი ლარი; 2015 წელს - 38,481.3 ათასი ლარი, მათ შორის: სს „თელასი“ - 37,428.0 ათასი ლარი და სს „ენერგო - პრო“ - 1,053.3 ათასი ლარი.

კომპანიის ანგარიშზე ჩარიცხულია 1,375.2 ათასი ლარი¹⁰³, მათ შორის 971.7 ათასი ლარი წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ 2014 წლის 24 დეკემბრის¹⁰⁴ განკარგულებით გამოყოფილ სახსრებს.

ქ. თბილისის საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტების თანახმად¹⁰⁵ დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელად დარეგისტრირებისათვის იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები ვალდებული არიან წარმოადგინონ კონკრეტულ მისამართზე (ფართზე) მათი ფუნქციონირების დაწყების დამადასტურებელი დოკუმენტები. მიუხედავად შეტყობინების განხორციელების დღისა, იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები ვალდებული არიან დასუფთავების მოსაკრებელი გადაიხადონ მომსახურების მიღების მთელ პერიოდზე.

კომპანიის წარმომადგენლების განმარტებით მოსაკრებლის დარიცხვა ხორციელდებოდა ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად, პირის მიერ წარმოდგენილი საქმიანობის დაწყების განმსაზღვრელი ოფიციალური დოკუმენტის თარიღის შესაბამისად, თუმცა კომპანიის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მათ მიერ წინასწარ დადგენილი აუცილებელი და სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლის წარმოდგენითაც კომპანია მიიღებდა იურიდიული პირის მიერ საქმიანობის დაწყების თარიღის უტყუარ დადასტურებას.

რეკომენდაცია:

მიზანშეწონილია შემუშავებულ იქნას დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელის საქმიანობის დაწყების განმსაზღვრელი დოკუმენტების კონკრეტული ჩამონათვალი.

7. სახელმწიფო შესყიდვები

7.1. ტექნიკური მარილის შესყიდვა

კომპანიის მიერ 2013 წლის 24 ოქტომბერს გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი 7,000 ტონა ტექნიკური მარილის შესყიდვაზე სავარაუდო ღირებულებით 1,400.0 ათასი

¹⁰³ 2014 წელს - 354.5 ათასი ლარი, მათ შორის: სს „თელასი“ – 353.8 ათასი ლარი და სს „ენერგო - პრო“ – 0.7 ათასი ლარი; 2015 წელს - 1,020.7 ათასი ლარი, მათ შორის: სს „თელასი“ – 1,019.1 ათასი ლარი და სს „ენერგო - პრო“ – 1,6 ათასი ლარი;

¹⁰⁴ N21.03.302;

¹⁰⁵ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2013 წლის 31 მაისის N7-22 გადაწყვეტილება „ქალაქ თბილისში დასახლებული ტერიტორიების დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ - მუხლი 3 ,მე-9 პუნქტი და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ - დანართი 3, მუხლი 4, მე-8 პუნქტი თანახმად.

ლარი¹⁰⁶. ტენდერში მონაწილეობას იღებდა ოთხი კომპანია¹⁰⁷. ვაჭრობის დასრულების შემდეგ გამარჯვებულად გამოცხადებულია შპს „ნენე“, რომლის საბოლოო შემოთავაზებული თანხა 798.0 ათას ლარს¹⁰⁸ და მისაწოდებელი ერთი ტონა ტექნიკური მარილის ღირებულება 114 ლარს შეადგენდა¹⁰⁹. ხელშეკრულების თანახმად ტექნიკური მარილის მიწოდება უნდა განხორციელებულიყო შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად¹¹⁰ ექვს ეტაპად. მიწოდების პირველი ეტაპი უნდა დასრულებულიყო 2013 წლის 5 დეკემბერს, ხოლო ბოლო - მეექვსე ეტაპი 2014 წლის 1 თებერვალს.

2013 წლის 6 დეკემბერს, კომპანიის წერილის¹¹¹ საფუძველზე, საქონლის მიწოდების ვადის დარღვევის გამო¹¹² შპს „ნენე“-სთან ხელშეკრულება¹¹³ შეწყვეტილია ცალმხრივად.

შპს „ნენე“-ს 2014 წლის 22 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილი აქვს სამოქალაქო სარჩელი კომპანიის წინააღმდეგ ხელშეკრულების¹¹⁴ შეწყვეტის უკანონოდ აღიარებასთან დაკავშირებით.

2013 წლის 10 და 11 დეკემბერს, კომპანიას გადაუდებელი აუცილებლობით¹¹⁵, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით - 7,000 ტონა ტექნიკური მარილის შესყიდვაზე ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს ი/მ „ჯემალ ბერიძე“ - სთან¹¹⁶ და შპს „RSP-40“-თან¹¹⁷. ორივე შემთხვევაში შესასყიდი ერთი ტონა ტექნიკური მარილის ღირებულებამ 160 ლარი შეადგინა. შესაბამისად, ხელშეკრულების პირობების სრულად შესრულების შემთხვევაში კომპანია გადაიხდიდა 322.0 ათასი ლარით მეტ თანხას¹¹⁸.

აუდიტის ჯგუფის მიერ გამოთხოვილი ი/მ „ჯემალ ბერიძე“ - ის და შპს „RSP-40“-ის მიერ ტექნიკური მარილის შესყიდვის¹¹⁹ დოკუმენტაციით დადგინდა, რომ ორივე შემთხვევაში მიმწოდებლის მიერ ტექნიკური მარილის ნაწილის შესყიდვა (78.6% და 47.8% შესაბამისად), განხორციელებულია ადგილობრივ ბაზარზე, ხოლო ნაწილი იმპორტირებულია თურქეთიდან და ირანიდან. იმპორტირებული ერთი ტონა ტექნიკური მარილის ღირებულება თურქეთიდან შემოტანისას შეადგენდა 107¹²⁰ ლარს,

¹⁰⁶ 1 ტონა მარილის საორიენტაციო ღირებულებით 200 ლარი;

¹⁰⁷ შპს „კავკასიის ინდუსტრიული კომპანია“; შპს „მეს“; შპს „ნენე“; შპს „მარმენიო“;

¹⁰⁸ SPA130023223, ხელშეკრულება N4256-30-382, 21.11.2013.;

¹⁰⁹ მთლიანობაში - 602.0 ათასი ლარით ნაკლები, 1 ტონაზე ფასთახვავობამ - 86.0 ლარი შეადგინა;

¹¹⁰ კერძოდ: 2013 წლის 5 დეკემბერის ჩათვლით 1000 ტონა; 15 დეკემბერის ჩათვლით 1500 ტონა; 25 დეკემბერის ჩათვლით 1500 ტონა; 2014 წლის 10 იანვრის ჩათვლით 1500 ტონა; 20 იანვრის ჩათვლით 750 ტონა; 1 თებერვლის ჩათვლით 750 ტონა;

¹¹¹ N2/2284;

¹¹² იმ პერიოდისთვის შპს „ნენე“-ს ჰქონდა ერთ დღიანი ვადაგადაცილება საქონლის მიწოდების გრაფიკთან გათვალისწინებულ პირველ ეტაპზე;

¹¹³ შპს „ნენე“-ს მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების საბანო გარანტია 79.8 ათასი ლარის ოდენობით, სასამართლო წესით იქნა გამოთხოვილი სადაზღვევო კომპანიისგან(არდი ჯგუფი), აღნიშნულთან დაკავშირებით დღემდე გრძელდება სასამართლო დავა;

¹¹⁴ N4256-30-382;

¹¹⁵ ქალაქ თბილისის მერიის ნებართვით;

¹¹⁶ N4256-10-399, 10.12.2013.; 4,000 ტონა - 640.0 ათასი ლარი;

¹¹⁷ N4256-1-400, 11.12.2013.; 3,000 ტონა - 480.0 ათასი ლარი;

¹¹⁸ ფაქტობრივი მიწოდებიდან გამომდინარე გადაიხადა 216.6 ათასი ლარით მეტი;

¹¹⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ბრძანება 06.05.2016., საქმე N15/61 - 16.; - საფუძველზე 19.05.16 წლის შემოსავლების სამსახურის N 21-02/43383 და N 21-11/43268 წერილები;

¹²⁰ შპს „RSP-40“.

ხოლო ირანიდან- 87¹²¹ ლარს. კომპანიის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტი თუ რა კრიტერიუმით იქნა შერჩეული მიმწოდებლები და როგორ იქნა განსაზღვრული მისაწოდებელი საქონლის ღირებულება.

უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიას 2013 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით საწყობში ნაშთად ერიცხებოდა 1,857.0 ტონა ტექნიკური მარილი, რომლის რაციონალური, მოქმედი სტანდარტის შესაბამისად გამოყენების შემთხვევაში მარილის დამატებითი ოდენობის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის აუცილებლობა რეალურად არ არსებობდა.

მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი არაერთგვაროვნად მოქმედებდა სხვადასხვა მიმწოდებლებთან მიმართებაში. კერძოდ, თუ ი/მ „ჯემალ ბერიძე“ -ს მიმართ მარილის ოთხი დღის დაგვიანებით მიწოდებისათვის გამოყენებულია პირგასამტეხლო¹²², მაშინ როდესაც იგივე ქმედებისათვის შპს „ნენე“-სთან ხელშეკრულების¹²³ მოქმედება ცალმხრივად შეწყვეტილი.

7.2. შპს „ნეოტექი“ - GPS მონიტორინგის სისტემის მოწყობილობების შეძენა

2013 წლის 21 ოქტომბერს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში¹²⁴ შესყიდვის საგანს წარმოადგენდა კომპანიის ა/მანქანებისათვის GPS/GPRS მონიტორინგის სისტემის შესყიდვა სავარაუდო ღირებულებით 1,100.0 ათასი ლარი.

მონიტორინგის სისტემის მეშვეობით შემსყიდველი განახორციელებდა კონტროლს თბილისში საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის პროცესებზე, მიიღებდა საჭირო ანალიტიკური და სტატისტიკური ინფორმაციას დროის რეალურ რეჟიმში, რაც გულისხმობდა შესაბამისი პროგრამულ-აპარატურული კომპლექსის გამოყენებით შემდეგი ინფორმაციის მიღებას და დამუშავებას:

- თითოეულ კონტეინერთან კონკრეტული მანქანის მისვლის და კონტეინერის დაცლის დრო;
- ნაგავსაყრელზე კონკრეტული ა/მანქანის მიერ ნაგვის ჩამოცლის დრო;
- თითოეული ა/მანქანის სამუშაოზე გასვლის და სამუშაოს დამთავრების დრო, გადაადგილების მარშრუტი, განვლილი მანძილი, ძრავის მიერ მოხმარებული საწვავის (დიზელის) რაოდენობა;
- მონაცემთა ბაზის და შესაბამისი ყოველდღიური ანგარიშგების ფორმების შექმნა.

კომპანიამ ვერ წარმოადგინა შესყიდვის ობიექტის ბაზრის გამოკვლევის შედეგები. ასევე გაურკვეველია ვის მიერ იქნა შედგენილი შესასყიდი ობიექტის ტექნიკური დავალება. სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსის¹²⁵ ახსნა - განმარტებით, ამ საკითხთან¹²⁶ დაკავშირებით მიმდინარეობდა შეხვედრები სხვადასხვა

¹²¹ ი/მ „ჯემალ ბერიძე“;

¹²² შეუსრულებელი ვალდებულების 0.5%-ის ოდენობით გადაცილებულ დღეზე;

¹²³ იგივე შექმნა გაეკეთებინა ი/მ „ჯემალ ბერიძე“-ესთან მიმართებაში;

¹²⁴ SPA -130022958;

¹²⁵ ყოფილი;

¹²⁶ ტექნიკური დავალება და საორენტაციო ფასი.

მიმწოდებლებთან, რომელსაც აწარმოებდა სამსახურის დირექტორი¹²⁷. ამ შეხვედრების დროს შეჯერებული ტექნიკური დავალებისა და სავარაუდო ღირებულების გათვალისწინებით მოხდა სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და ტენდერის გამოცხადება, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე მტკიცებულებები ვერ იქნა წარმოდგენილი.

ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობას იღებდა ოთხი კომპანია¹²⁸:

(ათას ლარებში)

N	დასახელება	თავაპირ. ფასი	ვაჭრობის შედ. დაფ. ფასი
1	შპს „ნატალი & კომპანი“	968.0	968.0
2	შპს „ნეოტეკი“	1,084.0	1,084.0
3	შპს „მაიჯიპიეს“	1,089.0	1,089.0
4	შპს „I GPS ოპერატორი“	1,100.0	1,100.0

სატენდერო კომისიის 2013 წლის 13 ნოემბრის სხდომის ოქმის¹²⁹ თანახმად, მოხდა უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტის შპს „ნატალი & კომპანი“-ის დისკვალიფიკაცია.

იმავე ოქმით¹³⁰ გამარჯვებულად გამოცხადებულია რიგით მეორე უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტი შპს „ნეოტეკი“ და მასთან 2013 წლის 19 ნოემბერს გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება¹³¹ - ღირებულებით 1,084.0 ათასი ლარი.

ხელშეკრულების გაფორმებისას კომპანიის მიერ მომსახურებასთან, მათ შორის საგარანტიოსთან დაკავშირებული რისკები სათანადოდ არ იქნა შეფასებული, კერძოდ შემსყიდველის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით არ იქნა მოთხოვნილი საგარანტიო მომსახურების უზრუნველყოფის გარანტია. ასევე, ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული მოწყობილობების სატესტო რეჟიმში გაშვება¹³², ანუ მოწყობილობები ერთიანად უნდა დამონტაჟებულიყო როგორც ყველა ა/მ-ზე (265¹³³ ა/მ), ასევე ყველა კონტეინერზე¹³⁴ და ერთდროულად უნდა ამოქმედებულიყო ვებ ინტერფეისის მქონე პროგრამული უზრუნველყოფა.

ხელშეკრულებით შპს „ნეოტეკს“ ევალებოდა შემდეგი მოწყობილობების მიწოდება და მონტაჟი:

¹²⁷ ყოფილი;

¹²⁸ ელექტრონული ვაჭრობის დამატებით რაუნდებში არცერთი პრეტენდენტის მიერ არ მომხდარა შემოთავაზებული ფასების კლება;

¹²⁹ ოქმი N2;

¹³⁰ 2013 წლის 13 ნოემბრის სატენდერო კომისიის N2 სხდომის ოქმი;

¹³¹ N 4256-30-377;

¹³² მთლიანობაში;

¹³³ ხელშეკრულებაში ცვლილების(12.03.2014.) შეტანამდე მოწყობილობები უნდა დამონტაჟებულიყო 265 ერთეულზე;

¹³⁴ ხელშეკრულებაში ცვლილების(12.03.2014.) შეტანამდე უნდა დამონტაჟებულიყო 20,000 ერთეულ ურნაზე.

დასახელება	რაო ცალი	დასახელება	რაო. ცალი	დასახელება	რაო. ცალი	დასახელება	რაო. ცალი	დასახე ბა	რა ო	დასახე ლება	რა ო
GPS/GPRS მოწყობილობები	265	საწვავის მოხმარების მზომი DFM	180	ა/მანქანებში ჩასაყენებელი RFID TAG	195	ნავის რკინის კონტეინერებზე დასამაგრებელი RFID TAG ები	20000	სერვერი	1	ვებ-ინტერფეისი	1

2014 წლის 11 თებერვალს შპს „ნეოტექს“ წერილობით მიმართული აქვს კომპანიისთვის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაობაზე ¹³⁵. ხელშეკრულებაში ცვლილება შეტანილია 2014 წლის 17 თებერვალს, რომლის მიხედვითაც სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 23 თებერვალი.

2014 წლის 12 მარტს, მას შემდეგ, რაც უკვე გაფორმებული იყო მიღება-ჩაბარების აქტები, ხელშეკრულებაში შეტანილია რიგით მეორე ცვლილება ¹³⁶ და სახელშეკრულებო ღირებულება შემცირებულია 90.0 ათასი ლარით და 994.0 ათასი ლარი შეადგინა. ღირებულების შემცირება გამოწვეული იყო მისაწოდებელი საქონლის რაოდენობების შემცირებით.

კომპანიის დირექტორის მოადგილის ¹³⁷ განმარტებით - 2014 წლის 22 თებერვალს კონტრაქტორი კომპანიის მიერ მოეწყო ე.წ სადემონსტრაციო პრეზენტაცია თუ როგორ აისახებოდა მონაცემები რეალურ დროში პროგრამის საშუალებით, რის შემდეგაც შედგა მიღება-ჩაბარების აქტები საერთო ღირებულებით 994.0 ათას ლარზე.

აღსანიშნავია, რომ მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების მიუხედავად სამსახურის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მარშუტების მართვის სამსახურს დღემდე არ აქვს გადაცემული პროგრამული უზრუნველყოფა ¹³⁸. ასევე, არ გააჩნიათ არანაირი წვდომა სერვერზე და მონაცემთა ბაზასთან. მათ მხოლოდ დათვალიერების - სტუმრის რეჟიმით შეუძლიათ სარგებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე გაურკვეველია თუ რატომ განხორციელდა თანხის გადახდა, როდესაც არა თუ 2014 წლის 22 თებერვალს, არამედ დღემდე აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფა ¹³⁹ კომპანიას ფაქტობრივად არ აქვს გადაცემული.

აღსანიშნავია, რომ პროგრამული უზრუნველყოფის და სერვერის მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს არა საინფორმაციო ტექნოლოგიების და მარშუტების მართვის სამსახურის წარმომადგენელი ¹⁴⁰, არამედ ტრანსპორტის განყოფილების უფროსი, რომლის განმარტებითაც ¹⁴¹ საწყის ეტაპზე არ გეგმავდა მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერას, რადგან დოკუმენტში მოცემული იყო ვებ ინტერფეისი და რომ აღნიშნულთან

¹³⁵ კერძოდ ვადის გაგრძელებას ითხოვდა 2014 წლის 1 მარტამდე;

¹³⁶ ხელშეკრულების 11.1 პუნქტის თანახმად „ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისთვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5% ოდენობით“ შესამბამისად შპს „თბილსერვის ჯგუფს“ უნდა მოეხდინა 7 200 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დარიცხვა მიმწოდებლისთვის 23 თებერვლიდან 11 მარტამდე პერიოდზე, შეუსრულებელი ვალდებულებაზე (90.0 ათასი ლარი). ვინაიდან ხელშეკრულების 20.8 პუნქტის თანახმად „ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია, მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ;

¹³⁷ ტექნიკურ დარგში(ყოფილი);

¹³⁸ IT სამსახურის უფროსის წერილობითი განმარტება;

¹³⁹ სახელშეკრულებო ღირებულებით 60.0 ათასი ლარი;

¹⁴⁰ უფროსი ან/და თანამშრომელი;

¹⁴¹ ტრანსპორტის განყოფილების უფროსის ახსნა-განმარტება.

დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღო მხოლოდ ხელმძღვანელობასთან გასაუბრების შემდეგ.

სამსახურისთვის მომსახურების შესყიდვის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ნაგავმზიდებზე და სხვა სპეც. ტექნიკაზე დამონტაჟებული მოწყობილობების საშუალებით სტატისტიკური და ანალიტიკური ინფორმაციის რეალურ დროში მიღება, ანუ ნაგავმზიდების გადაადგილებაზე, აგრეთვე ურნების დაცლაზე და მოხმარებული საწვავის რაოდენობაზე კონტროლის განხორციელება, რაც კომპანიას მისცემდა საშუალებას გარდა ხსენებული კონტროლის მექანიზმებისა, საწვავის ჩამოწერა განხორციელებინა მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით (საშუალებით). მიუხედავად აღნიშნულისა დღემდე არ განხორციელებულა საწვავის ჩამოწერა¹⁴² შესყიდული სისტემის (მოწყობილობების) მონაცემთა გამოყენებით.

2014 წლის 22 თებერვალს შპს „ნეოტექს“ მიერ ჩატარებული პრეზენტაციის მიუხედავად, კომპანიას შესყიდული სისტემის არც ცალკეულ მოწყობილობები და არც მთლიანობაში სისტემა არ გამოუყენებია, რაც დასტურებდა შესაბამისი თანამდებობის პირების¹⁴³ განმარტებებით და რასაც კომპანიის წარმომადგენლები ხსნიან მიწოდებული მოწყობილობების გაუმართავი მუშაობით.

გაურკვეველია შესყიდული სისტემის დეფექტი/ნაკლის გამოვლენის ზუსტი თარიღი, რამდენადაც ვერ იქნა წარმოდგენილი ოფიციალური მიმოწერა¹⁴⁴ ხარვეზებთან დაკავშირებით. კომპანიის დირექტორის მოადგილის¹⁴⁵ განმარტებით ხარვეზებმა დამონტაჟებულ მოწყობილობებსა და პროგრამაში თავი იჩინა თანდათან, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების შემდეგ¹⁴⁶. ყოველი ასეთი ფაქტის შესახებ ტელეფონის საშუალებით ხდებოდა კომუნიკაცია შპს "ნეოტექს" თანამშრომლებთან და ისინი საგარანტიო სერვისის ფარგლებში ახდენდნენ ხსენებული ხარვეზების აღმოფხვრას. მათი ჩარევის მიუხედავად სისტემას სრულყოფილად არ უმუშავია.

გარდა იმისა, რომ კომპანიას დღემდე არ უსარგებლია ზემოთ ჩამოთვლილი მოწყობილობებით, ხელშეკრულების ფარგლებში 2014 წლის 22 თებერვალს მიღებული მოწყობილობების 26%-ის მონტაჟი საერთოდ არ განხორციელებულა და 208.8 ათასი ლარის ღირებულების მოწყობილობები განთავსებულია საწყობში¹⁴⁷.

კომპანიისთვის მოწყობილობები შპს „ნეოტექს“-ს მიერ მიწოდებულია 434.1 ათასი ლარის ფასნამატით (116%).

შპს „ნეოტექს“ წარდგენილი აქვს სს „საქართველოს ბანკის“ მიერ გაცემული ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია 55.0 ათას ლარზე, მოქმედების ვადით 2015 წლის 25 მარტი¹⁴⁸. მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებიდან¹⁴⁹ ერთი თვის განმავლობაში დაყენებული სისტემის მიმართ რაიმე სახის პრეტენზიის არსებობისას,

¹⁴² საფინანსო სამსახურის უფროსის წერილობითი განმარტება;

¹⁴³ როგორც დღევანდელი, ასევე ყოფილი;

¹⁴⁴ პირველი ოფიციალური წერილი გაიგზავნა შპს "ნეოტექს" 2015 წლის იანვარში, ანუ ერთწლიანი საგარანტიო ვადის გასვლამდე;

¹⁴⁵ იმ დროისათვის ტექნიკურ დარგში;

¹⁴⁶ 2014 წლის 22 თებერვლი შემდეგ;

¹⁴⁷ დღეის მდგომარეობით საწყობში ნაშთად ირიცხება 166.6 ათასი ლარის მოწყობილობები;

¹⁴⁸ ანუ ერთი თვით აღემატებოდა ხელშეკრულების მოქმედების ვადას;

¹⁴⁹ 2014 წლის 22 თებერვალი.

მიმწოდებელს უნდა მოეხდინა რეაგირება¹⁵⁰, ხოლო ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში კომპანიას უნდა გამოეყენებინა საბანკო გარანტია, რაც არ განხორციელებულა¹⁵¹.

კომპანიას ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების გამო ზიანის ანაზღაურებაზე თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს „ნეოტექი“-ს წინააღმდეგ სარჩელი შეტანილი აქვს 2015 წლის 27 იანვარს¹⁵².

2015 წლის 2 ივნისს კომპანიასა და დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ შპს „ვექტორს“ შორის გაფორმებულია ხელშეკრულება¹⁵³ სასაქონლო ექსპერტიზის ჩატარებაზე. შპს „ვექტორის“ დასკვნით შპს „ნეოტექის“ მიერ დამონტაჟებული საწვავის ხარჯვის მზომი მოწყობილობა არ შეესაბამებოდა სამსახურის ავტოპარკში არსებული ავტომანქანების ძრავის სტანდარტებს¹⁵⁴, ხოლო კონტეინირებზე დამაგრებული მოწყობილობების საშუალებით მიღებული ინფორმაცია არ შეესაბამებოდა რეალობას და სისტემა გამართულად არ ფუნქციონირებდა.

7.3. ნაგავსაყრელი პოლიგონის მეორე უჯრედის მშენებლობა

2013 წლის 16 მაისს კომპანიის მიერ გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი¹⁵⁵ ნაგავსაყრელი პოლიგონის მეორე უჯრედის მშენებლობასა და ნაჟური წყლის გამწმენდი დანადგარის მოწყობაზე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 13,700.0 ათას ლარს¹⁵⁶. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო (საორიენტაციო) ღირებულება (ხარჯთაღრიცხვა) შემუშავებულია საპროექტო კომპანია შპს „გამა“-ს მიერ¹⁵⁷. კომპანიის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რითაც დადასტურდებოდა ფასთა გამოკითხვის და ბაზრის კვლევის ჩატარების ფაქტი.

ტენდერში მონაწილეობას იღებდა ექვსი კომპანია:

¹⁵⁰ წერილობითი;

¹⁵¹ როგორც უკვე ავღნიშნეთ დირექტორის მოადგილის ახსნა-განმარტებიდან დგინდება, რომ ”ხარვეზებმა დამონტაჟებულ მოწყობილობებსა და პროგრამაში თავი იჩინა თანდათან, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების შემდეგ ე.ი. თებერვლის შემდეგ“;

¹⁵² ერთ წლიანი საგარანტიო ვადის ამოწურვამდე;

¹⁵³ N4256-10-230;

¹⁵⁴ ანუ სავარაუდოდ თავიდანვე შერჩეული იქნა არასწორად;

¹⁵⁵ SPA 130010834;

¹⁵⁶ საორიენტაციო ღირებულება აღებული იქნა შპს „გამა კონსალტინგის“ მიერ მომზადებული საპროექტო ხარჯთაღრიცხვაზე დაყრდნობით;

¹⁵⁷ 2013 წლის 15 იანვარის ხელშეკრულება N4256-30-014, ღირებულებით 34.7 ათას ლარზე; ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზა არ ჩატარებულა.

პრეტენდენტების დასახელება	პირველი შეთავაზება ლარი	ბოლო შეთავაზება ლარი	სხვაობა ლარი 2-3
1	2	3	4
შპს „ტექნიკა-სერვისი“	13,548,063.0	7,250,000.0	6,298,063.0
შპს „ენსისი“	11,123,618.0	11,123,618.0	-
შპს „ტერექს-XXI“	10,293,587.0	8,000,000.0	2,293,587.0
შ.პ.ს. "ალიანსი"	10,240,000.0	9,362,599.0	877,401.0
შპს „ტრანსმშენი“	8,840,000.0	8,599,000.0	241,000.0
შ.პ.ს. "ჯავა"	7,393,234.0	7,249,977.0	143,257.0

სატენდერო კომისიის 2013 წლის 11 ივნისის სხდომის ოქმით¹⁵⁸ გამარჯვებულად გამოვლენილია შპს „ჯავა“, რომელთანაც სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება¹⁵⁹ გაფორმებულია 2013 წლის 14 ივნისს - ღირებულებით 7,249.9 ათას ლარზე¹⁶⁰, რაც თავდაპირველ სავარაუდო ღირებულებაზე¹⁶¹ 6,450.0 ათასი ლარით ნაკლებია (47%). აქედან 2,920.8 ათასი ლარის სხვაობა გამოწვეულია მიწის სამუშაოების ფასების მკვეთრი შემცირებით, კერძოდ ყველა ტიპის მიწის სამუშაო, როგორცაა: გრუნტის დამუშავება ექსკავატორით ადგილზე დაყრით, გრუნტის გადაადგილება უჯრედის ფარგლებში ბულდოზერით, გრუნტის დატვირთვა ა/თვითმცლელელებზე და გადაადგილება 500 მ-მდე ყრილის მოსაწყობად და სხვა, რომელთა სავარაუდო - საპროექტო ღირებულება (ფასი) 1მ³ - ზე შეადგენდა შესაბამისად - 3.5 ლარს, 2.8 ლარს და 6.2 ლარს, კონტრაქტორი კომპანიის მიერ განფასებულია იქნა ერთ თეთრად, ანუ შპს „ჯავა“ 2,920.8 ათასი ლარის მიწის სამუშაოებს შეასრულებდა 4.7 ათას ლარად. 1,612.7 ათასი ლარის სხვაობა გამოწვეულია-გეომემბრანის და გეოტექსტილის მასალის ღირებულების შემცირებით, 897.6 ათასი ლარი მისაწოდებელი ქვიშა ხრემის ღირებულების შემცირებით, 508,6 ათასი ლარი დაბინძურებული წყლის საწმენდი დანადგარის, ხოლო 496.8 ათასი ლარი გეობადის ღირებულების შემცირებით.

აუდიტით დადგინდა, რომ 2013 წლის 14 ივნისამდე, ანუ შპს „ჯავა“-სთან ხელშეკრულების გაფორმებამდე იმ ტერიტორიაზე სადაც უნდა მოწყობილიყო მეორე უჯრედი, შპს „ჯავას“¹⁶² და კომპანიის მიერ გარკვეული რაოდენობის მიწის მოჭრის და გადაადგილების სამუშაოები უკვე წარმოებული იყო¹⁶³, თუმცა კონკრეტულად რა მოცულობის სამუშაოები იყო შესრულებული ვერ დადგინდა¹⁶⁴.

¹⁵⁸ N2;

¹⁵⁹ N4256-30-200;

¹⁶⁰ ხელშეკრულების თანახმად სამუშაოების დასრულების ბოლო ვადად განისაზღვრა 2014 წლის 1 მაისი;

¹⁶¹ 13,700.0 ათასი ლარი;

¹⁶² 2010 – 2011 წლებში ნაგავაყრელის N1 - ლის უჯრედის საამშენებლო სამუშაოები ნაწარმოები აქვს და შემდგომში მისი ოპერირებას ახორციელებოდა შპს „ჯავა“;

¹⁶³ შპს „თბილსერვის ჯგუფის“ იმ დროინდელი ხელმძღვანელობის განმარტებით ნაგავაყრელის პირველი უჯრედის ექსპლუატაციის პერიოდში ხდებოდა მომიჯნავე ტერიტორიიდან მიწის სამუშაოების წარმოება, თუმცა აღრიცხვა თუ კონკრეტულად რომელი ტერიტორიიდან ხდებოდა მიწის მოჭრა და რა მოცულობით არ წარმოებდა;

¹⁶⁴ მათი აღურციხავობის გამო.

აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით სწორედ აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობა, შპს „ჯავას“ მიერ შემოთავაზებული ფასის მკვეთრი შემცირება საორიენტაციო ფასთან მიმართებაში¹⁶⁵, ვინაიდან ეს უკანასკნელი დანარჩენ პრეტენდენტებზე უკეთ იყო ინფორმირებული¹⁶⁶ თუ რა ვითარება იყო უშუალოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც იგეგმებოდა N2 უჯრედის მშენებლობა. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით ტენდერის პირობებში არ იყო დაცული შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი მიდგომა¹⁶⁷.

შპს „გამას“¹⁶⁸ მიერ 2013 წელს კორექტირებული პროექტის მომზადებისას, მიწის სამუშაოების მოცულობები¹⁶⁹ დადგენილია 2013 წლის 22 თებერვალს გადაღებული ე.წ. ტოპო რუკების საფუძველზე, ხოლო პირველი მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებულია 4 სექტემბერს, ანუ დაახლოებით ექვსი თვის შემდეგ. საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სამსახურის მიერ წარმოდგენილი იმფორმაციით, ხსენებულ ექვს თვეში, ნაგავსაყრელის N1 უჯრედში შეტანილია 192.0 ათასი ტონა ნარჩენი, რომლის კომპაქტირებას ნაგავსაყრელის ექსპლუატაციის დადგენილი წესის თანახმად დაახლოებით 60.0 ათასი მ³ მიწა დასჭირდებოდა, რაც არ არის გათვალისწინებული და დაკორექტირებული მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულების სახარჯთაღრიცხვო მოცულობებში.

შპს „ჯავა“-ს მიერ ხელშეკრულების ფარგლებში შეძენილი მასალებისა და ტექნიკის შეძენის დოკუმენტაციის¹⁷⁰ შესწავლით დადგინდა, რომ გეომემბრანის მასალები შეძენილი აქვს 603.7 ათას ლარად, ხოლო შესრულებული სამუშაოს აქტის(ფორმა N2) მიხედვით კომპანიას მიაწოდა 1,123.9 ათას ლარად, ანუ სხვაობამ 520.3 ათასი ლარი¹⁷¹ შეადგინა, ასევე წყლის საწმენდი სადგურის მოწყობილობები და გეოტექსტილის მასალები შეძენილი აქვს და კომპანიისთვის მიწოდებული აქვს შესაბამისად - 383.8¹⁷² და 122.0¹⁷³ ათასი ლარიანი სხვაობით.

აღსანიშნავია, რომ შპს „ჯავა“-ს წყლის გამწმენდი მოწყობილობის შესყიდვაზე ხელშეკრულება შპს „ეკოფრესთან“ გაფორმებული აქვს 2013 წლის 6 ივნისს, მაშინ როდესაც შპს „ჯავა“ -ს სხვა პრეტენდენტების მსგავსად სატენდერო წინადადება 2013 წლის 10 ივნისს აქვს წარდგენილი, ხოლო ხელშეკრულება გაფორმებულია 2013 წლის 14 ივნისს.

სამუშაოების მიმდინარეობისას შპს „ჯავას“ ინიციატივით პროექტში შეტანილია 5 ცვლილება¹⁷⁴, რის შედეგადაც სახელშეკრულებო ღირებულება მთლიანობაში გაიზარდა 460.2 ათასი ლარით და 7,710.1 ათასი ლარი შეადგინა. 5 ცვლილებიდან 4 შეეხებოდა უშუალოდ სამუშაოთა სპეციფიკის შეცვლას, თუმცა პროექტის ავტორს შპს „გამას“

¹⁶⁵ მიწის სამუშაოების ნაწილში;

¹⁶⁶ ნაგავსაყრელის პირველი და მეორე უჯრედი განთავსებულია 840.0 ათას კვ.მ შემოღობილ ტერიტორიაზე, სადაც უცხო პირთა შესვლა აკრძალულია;

¹⁶⁷ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა;

¹⁶⁸ საპროექტო დოკუმენტაციის შემდგენი კომპანია;

¹⁶⁹ სულ 280.0 ათასი მ³;

¹⁷⁰ საბაჟო დეკლარაციები, დღგ - ს ა/ფ, სსზ და ხელშეკრულებები;

¹⁷¹ ფორმა N2 - ში დაფიქსირებულ ფასთან შედარებით;

¹⁷² შეძენა - 1,228.3 ათასი ლარი, მიწოდება -1,612.1 ათასი ლარი;

¹⁷³ შეძენა - 269.9 ათასი ლარი, მიწოდება - 391.9 ათასი ლარი;

¹⁷⁴ 1) 08.07.2013; 2) 27.09.2013; 3) 06.11.2013; 4) 08.01.2014; 5) 07.04.2014.

ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილებების შესახებ ეცნობა მხოლოდ 2 შემთხვევაში. ამათგან ხარჯთაღრიცხვაში შესაცვლელი 14 პუნქტიდან საპროექტო კომპანია არ დაეთანხმა მხოლოდ ერთ ცვლილებას, რომელიც ეხებოდა 235 გრძ/მ ალუმინის ძალოვანი კაბელის შეცვლას სხვა გამტარუნარიანობის მქონე ალუმინის კაბელით.

კომპანიის მიერ საპროექტო კომპანიასთან არ იქნა შეთანხმებული შპს „ჯავას“ ინიციატივით ხელშეკრულებაში განხორციელებული რიგით მეორე ცვლილება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა 29.0 ათასი მ³ მიწის სამუშაოებზე გრუნტის კატეგორიის შეცვლა, შედეგად 1 მ³ მიწის სამუშაოს ღირებულება 0.01 ლარიდან 8 ლარამდე, ხოლო სახელშეკრულებო ღირებულება 231.7 ათასი ლარით გაიზარდა. ცვლილებას თან ერთვის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლის თანახმადაც დამკვეთის მიერ მითითებული ტერიტორიიდან აღებულია ხუთი სინჯი (სხვადასხვა სიღრმეებიდან¹⁷⁵), რითიც დადასტურებულია კლდოვანი¹⁷⁶ ქანების არსებობა, თუმცა დასკვნაში არაფერია ნათქვამი კლდოვანი ქანების მოცულობაზე¹⁷⁷.

კომპანიის ყოფილი დირექტორის განმარტებით, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისას კომპანია დაეყრდნო შპს „ჯავას“ მიერ დაანგარიშებულ (დათვლილ) რაოდენობას, ხოლო ფაქტობრივად მოჭრილი კლდოვანი გრუნტის მოცულობის აღრიცხვა განხორციელა კომპანიის მიერ გამოყოფილმა თანამშრომელმა¹⁷⁸, რაც შემდგომში შეტანილი იქნა ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ფორმაში. ფაქტიური შესრულების თანახმად კი შპს „ჯავას“ მიერ შესრულებულმა სამუშაოებმა ზუსტად 29.0 ათასი მ³ შეადგინა.

მშენებლობის პროცესში შესრულებულ სამუშაოებზე დამკვეთსა და შემსრულებელს შორის ფორმდებოდა ფორმა N2¹⁷⁹, რომელსაც ხელს აწერდა და შესრულებული სამუშაოების მოცულობებს ადასტურებდა მხოლოდ ერთი პიროვნება - საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის განყოფილების უფროსის მოადგილე, რის შემდეგაც ფორმდებოდა ფორმა N3¹⁸⁰ და მას ხელს აწერდნენ დირექტორის პირველი მოადგილე და დირექტორის მოადგილე, ასევე საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის განყოფილების უფროსი¹⁸¹. დასახელებული თანამდებობის პირები მათი განმარტებით¹⁸² უფლებამოსილებას ახორციელებდნენ კომპანიის ხელმძღვანელის სიტყვიერი დავალების საფუძველზე¹⁸³. ამასთან, კომპანიის ხელმძღვანელის სიტყვიერი დავალების საფუძველზე ნაგავსაყრელის N2 უჯრედის მშენებლობაზე შესრულებული სამუშაოების მოცულობების შემოწმებას ახორციელებდა პიროვნება¹⁸⁴, რომელიც 2010 წლის 2 იანვრიდან 2011 წლის 14 ივლისამდე პერიოდში იკავებდა შპს „ჯავას“ შრომის

¹⁷⁵ ექსპერტების მიერ აღებული ხუთი სინჯიდან 3 მათგანი აღებული ქვაბულის (ანუ ყველაზე დაბალი ნიშნულის) ძირიდან 1 მეტრიდან 2.5 მეტრამდე სიმაღლეებზე;

¹⁷⁶ V და VI ჯგუფის ქანების არსებობა;

¹⁷⁷ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წინაშე რაოდენობის დადგენასთან დაკავშირებით კითხვა არც ყოფილა დასმული კომპანიის მიერ;

¹⁷⁸ ჯემალ შათირიშვილმა;

¹⁷⁹ ჩაშლილი შესრულებული სამუშაოების მიხედვით;

¹⁸⁰ ჯამური თანხა;

¹⁸¹ ზურაბ გვენცაძე და დავით ხორხელაშვილი;

¹⁸² მათი ახსნა-განმარტებების თანახმად;

¹⁸³ ყოველგვარი ბრძანების გარეშე;

¹⁸⁴ ჯემალ შათირიშვილს.

უსაფრთხოების და ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილის თანამდებობას. 2011 წლის 15 ივლისიდან 2013 წლის 1 აგვისტომდე მუშაობდა კომპანიაში სხვადასხვა თანამდებობებზე, ხოლო 2013 წლის 1 აგვისტოდან (პირველი მიღება-ჩაბარების აქტი¹⁸⁵ გაფორმებამდე) საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის განყოფილების უფროსის მოადგილის თანამდებობაზე.

კომპანიას შესრულებული სამუშაოების მოცულობების კონტროლის რაიმე სხვა მექანიზმი არ გააჩნდა.

N2 უჯრედის მშენებლობაზე, მიწის სამუშაოებზე შედგენილი ფარული სამუშაოების აქტები¹⁸⁶ არ შეიცავს ინფორმაციას მოცულობებისა და რაოდენობის შესახებ. ამდენად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, რითიც დადასტურდებოდა შესრულებულ სამუშაოთა მოცულობები¹⁸⁷.

ნაგავსაყრელის N2 უჯრედის მშენებლობა ნაწარმოებია სათანადო ნებათვის გარეშე, მაშინ როდესაც ნაგავსაყრელი ნაგებობა განეკუთვნება მე-5 კლასის ობიექტს, რომელიც ხასიათდება რისკის მომეტებული ფაქტორით და რომლისთვისაც სავალდებულოა მშენებლობის ნებართვის მიღება სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე¹⁸⁸. სამუშაოების თითოეული ეტაპის დასრულების შემდეგ დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ არ არის შედგენილი ეტაპების დასრულების ოქმები¹⁸⁹, რაც დაადასტურებდა შესრულებული სამუშაოების საპროექტო მოთხოვნებთან შესაბამისობას. არ ჩატარებულა მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების სავალდებულო¹⁹⁰ საექსპერტო შეფასებები, კერძოდ: საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის სავალდებულო საექსპერტო შეფასება, ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების სავალდებულო საექსპერტო შეფასება და სხვა. აღსანიშნავია, რომ ნაგავსაყრელის N2 უჯრედი დღემდე არ არის მიღებული ექსპლუატაციაში¹⁹¹ მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოები სრული მოცულობით დასრულებულია 2014 წლის 30 აპრილს.

აუდიტით დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანებით¹⁹² განსაზღვრული მოთხოვნების¹⁹³ უგულებელყოფის ფაქტებს:

¹⁸⁵ 2013 წლის 4 სექტემბერი;

¹⁸⁶ კომპანიის მხრიდან ხელს აწერს მხოლოდ -ჯემალ შათირიშვილი;

¹⁸⁷ 280.0 ათას მ³-ს შეადგენდა;

¹⁸⁸ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 79-ე მუხლი;

¹⁸⁹ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 82-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი;

¹⁹⁰ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბა“; „ბბ“ და „ბგ“ ქვეპუნქტების მოთხოვნები;

¹⁹¹ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 82-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი;

¹⁹² N9, - „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;

¹⁹³ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა - „ტენდერის ჩატარების შედეგად დადებულ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების/დამატების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება/დამატება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით და აიტვირთოს სისტემაში ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანიდან 10 დღის ვადაში“.

- კომპანიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ ვებგვერდზე არ იქნა ატვირთული ხელშეკრულებაში 2014 წლის 8 იანვარს¹⁹⁴ შეტანილი ცვლილება, რომელიც შეეხებოდა საავანსო თანხის 50%-დან (3,624.9 ათასი ლარი)¹⁹⁵ 70%-მდე ზრდას და რის საფუძველზეც კონტრაქტორ კომპანიას დამატებით გადაერიცხა 1,700.0 ათასი ლარი¹⁹⁶;
- ავანსის მოცულობის გაზრდის თარიღისათვის¹⁹⁷, აუთვისებელი ავანსის ნაშთი 1,200.0 ათას ლარს შეადგენდა, შესაბამისად 1,700.0 ათასი ლარის დამატებით ავანსის სახით გამოყოფის აუცილებლობა არ არსებობდა და არც შესაბამისი დასაბუთებაა წარმოდგენილი¹⁹⁸;
- ავანსის სახით 1,700.0 ათასი ლარის გადარიცხვით კომპანიამ სარგებლის სახით დაკარგა 78.9 ათასი ლარის დამატებით მიღების საშუალება¹⁹⁹, რამდენადაც ამ პერიოდითვის კომპანიას სს „ლიბერთი ბანკთან“ გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად მიმდინარე ანგარიშზე რიცხულ თავისუფალ ნაშთზე ერიცხებოდა წლიური 16.05%-იანი სარგებელი²⁰⁰.

აუდიტის პროცესში, ჩვენი რეკომენდაციის საფუძველზე კომპანიამ მიმართა ტექნიკური ზედამხედველობის სააგენტოს ხსენებული უნებართვო მშენებლობის სამართლებრივ ჩარჩოებში მოსაქცევად²⁰¹.

7.4. დისკვალიფიკაცია ნიმუშის წარმოდგენლობაზე

ტენდერების საშუალებით შესყიდვების განხორციელებისას შესასყიდი საქონლის ნიმუშის წარმოდგენაზე პრედენდენტებს ეძლეოდა მცირე ვადები (1-3 დღე), რაც ზღუდავდა ტენდერში მონაწილე პირთა რაოდენობას. შესაბამისად მცირდებოდა კონკურენცია და საქონლის შესაძლო დაბალ ფასად შესყიდვის შესაძლებლობა, რაც არ უზრუნველყოფდა კომპანიის სახსრების რაციონალურ ხარჯვას. მაგალითად:

- 2015 წლის 16 იანვარს კომპანიის მიერ გამოაცხადებულ ელექტრონულ ტენდერში²⁰² შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 1,680.0 ათასი ლარი შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა 2,000 ერთეული ლითონის 1.1მ³ ტევადობის ნაგვის კონტეინერები. ტენდერში მონაწილეობას იღებდა ორი პრეტენდენტი შპს „მევა ჯე“ და

¹⁹⁴ N4 ცვლილება;

¹⁹⁵ 2013 წლის 19 ივნისს გადაერიცხა 1,812.5 ათასი, ხოლო 25 ივნისს 1812.5 ათასი ლარი;

¹⁹⁶ 2014 წლის 10 იანვრის N AV 2130/14;

¹⁹⁷ ცვლილება შევიდა 2014 წლის 8 იანვარს, თანხა გადაირიცხა 2014 წლის 14 იანვრის;

¹⁹⁸ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა - „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა“;

¹⁹⁹ საავანსო თანხის - 1.700.0 ათასი ლარის სრულ ათვისებამდე;

²⁰⁰ „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ - ხსენებული მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა: „ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის“;

²⁰¹ 2016 წლის 15 აპრილის N2/1429 წერილი, დღეის მდგომარეობით სააგენტომ 05.07.2016. Nდად-138/5 დადგენილებით კომპანია დააჯარიმა 200 ლარით, ასევე მიმდინარეობს ნაგებობის ლეგალიზაციის პროცესი;

²⁰² SPA150001582.

შპს „ემპორ გრუპ“. სატენდერო კომისიის 2015 წლის 11 თებერვლის სხდომის ოქმის²⁰³ მიხედვით, დაბალი სატენდერო წინადადების მქონე შპს „ემპორ გრუპი“ დისკვალიფიცირებულია ნიმუშის წარმოდგენლობის გამო, რომელსაც აღნიშნული ვაჭრობის დამატებითი რაუნდის დასრულებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში უნდა წარმოედგინა, მაშინ როდესაც შემსყიდველ ორგანიზაციას, კანონმდებლობის თანახმად შეეძლო ნიმუშის წარმოსადგენად 10 სამუშაო დღის ვადის დაწესება²⁰⁴. შედეგად, ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „მევა ჯე“, რომლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ფასი 73,2 ათასი ლარით აღემატებოდა შპს „ემპორ გრუპ“-ის სატენდერო წინადადების ფასს²⁰⁵.

- 2015 წლის 29 აპრილს კომპანიის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში²⁰⁶ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 216.0 ათასი ლარი, შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა 2000 ერთეული 50 ლიტრიანი პლასტმასის ნაგვის კონტეინერებისა და 200 კომპლექტი კონტეინერის ბოძზე მისამაგრებელის შესყიდვა. ტენდერში მონაწილეობას იღებდა ორი პრეტენდენტი - შპს „ექსიმ ტრაფიკი“²⁰⁷ და შპს „ჯი თი აი“²⁰⁸. ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ჯი თი აი“, რომლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ფასი 13.2 ათასი ლარით აღემატებოდა შპს „ექსიმ ტრაფიკის“ სატენდერო წინადადების ფასს. შპს „ექსიმ ტრაფიკს“ დისკვალიფიკაცია მიეცა ნიმუშის წარმოდგენლობის გამო, რომელსაც აღნიშნული უნდა წარმოედგინა სამი სამუშაო დღის განმავლობაში²⁰⁹.

7.5. საბურავების შეძენა

გამოვლინდა ტენდერში მონაწილე უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტისადმი არასამართლიანი მიდგომა. კერძოდ, კომპანიის მიერ 2014 წლის 9 დეკემბერს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში 200 ერთეული სატვირთო ავტომონქანის საბურავების²¹⁰ შესყიდვაზე, სავარაუდო ღირებულებით 160.0 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობას იღებდა სამი პრეტენდენტი. ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი ფასი დაფიქსირებულია შპს „ომეგა-2“ მიერ, თანხით-99.2 ათასი ლარი, ხოლო მომდევნო დაბალი ფასი შპს „თეგეტა მოტორსის“ მიერ, თანხით-158.3 ათასი ლარი.

²⁰³ N2;

²⁰⁴ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილით N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-12 პუნქტი: შესყიდვის ობიექტის ნიმუშის ან/და ექსპერტიზის დასკვნის (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენისთვის შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, განსაზღვროს არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადა. აღნიშნული ვადის გაგრძელება შესაძლებელია არაუმეტეს 5 სამუშაო დღით, სატენდერო კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელშიც მითითებული იქნება სათანადო ობიექტური მიზეზ(ებ)ი;

²⁰⁵ 25.02.2015, N4256-30-084 ხელეკრულება; ხელშეკრულების ღირებულება 1,663.2 ათასი ლარი.

²⁰⁶ SPA150012626;

²⁰⁷ სატენდერო წინადადების ფასი - 197.8 ათას ლარი;

²⁰⁸ სატენდერო წინადადების ფასი 211.0 ათასი ლარი;

²⁰⁹ სატენდერო კომისიის 27.05.2015 წლის N2 ოქმი;

²¹⁰ ზომა 315/80R22,5.

სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის მიხედვით²¹¹, ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე შპს „ომეგა-2“ დისკვალიფიცირებულია ვაჭრობის დამატებითი რაუნდის დასრულებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში საბურავის ნიმუშის წარმოდგენლობის გამო. სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის²¹² მიხედვით, ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებულია შპს „თეგეტა მოტორსი“, რომელთანაც 2015 წლის 16 იანვარს გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება²¹³. აღსანიშნავია, რომ შპს „თეგეტა მოტორსის“ მიერ წარმოდგენილი არ არის საბურავის ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატი, რაც სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად პრეტენდენტს უნდა წარმოედგინა ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად.

ყოველივე ზემოაღნიშნული შეუსაბამობაშია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტის მოთხოვნებთან, რომლის თანახმად კანონის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომა.

7.6. ქუჩის დასაგველი მინდვრის ცოცხები

ქუჩის დასაგველი მინდვრის ცოცხის შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერებში სავარაუდო ღირებულებები განსაზღვრული იყო ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე. უმეტეს შემთხვევაში მიმწოდებლები იმარჯვებდნენ სატენდერო წინადადების ფასით. ყველა გამოცხადებულ ტენდერში ცოცხის დიდი რაოდენობის შესყიდვისას სავარაუდო ფასი უფრო მაღალი იყო, ვიდრე მცირე რაოდენობის შესყიდვისას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შესასყიდი ცოცხების ტექნიკური პარამეტრების აღწერისას სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულია ისეთი მოთხოვნები²¹⁴, რომელთა სიდიდეების მკაცრ ჩარჩოში მოქცევა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა და შესაძლებელია მორგებული ყოფილიყო კონკრეტულ პრეტენდენტზე. უფრო მეტიც, ცოცხები მიწოდებულია არა ზემოაღნიშნული სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული პარამეტრების მიხედვით, არამედ კონკრეტული სახით. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების მე-10 მუხლის თანახმად, შემსყიდველი უფლებამოსილი იყო განეხორციელებია შესყიდული საქონლის ტექნიკური კონტროლი(ინსპექტირება). რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტები აღნიშნულთან დაკავშირებით შედგენილი არ არის. შპს „თბილერვის ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილი წერილობითი განმარტებით, მიწოდებული ცოცხის ერთი კონიდან მზადდება 4 ცალი ცოცხი, საქონლის ჩაბარების პროცესში სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ტექნიკურ პარამეტრებთან შედარება ხდებოდა ვიზუალურად. აღნიშნულიდან გამომდინარე გაუგებარია

²¹¹ 08.01.2015 წ ოქმი N2;

²¹² 12.01.2015 წ N3 ოქმი;

²¹³ N4256-30-019;

²¹⁴ მაგალითად ერთი ცალი ცოცხი უნდა შედგებოდეს არანაკლებ 70 ლეროსაგან, სიგრძე არაუმცირეს 65სმ, თითოეულ ლეროს უნდა გააჩნდეს არანაკლებ 5 განშტოება. ერთი ცოცხის გარშემოწერილობა ტარის გასაკეთებელ ადგილზე არანაკლებ 23 სანტიმეტრი და სხვა.

ვიზუალურად, როგორ უნდა დადგინდეს კონების სახით მიწოდებული ცოცხის ნედლეულის შესაბამისობა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ტექნიკურ პარამეტრებთან(ზომები, გარშემოწერილობა და სხვა).

შემენილია სულ 759.9 ათას ლარის ღირებულების 555.0 ათასი ერთეული მინდვრის ცოცხი. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია 2014 – 2015 წლებში ქუჩის დასაგველი ცოცხების შესყიდვაზე ჩატარებული ტენდერების შესახებ:

SPA	პრეტენდენტი	სავარაუდო ღირებულება	მისაწოდებელი ცოცხის რაოდენობა	ერთეულის ფასი	პრეტენდენტის საბოლოო ფასი(ლარი)	გამარჯვებული პრეტენდენტის ერთეულის საბოლოო ფასი	შედეგი
2	3		4	5	6	7	8
130019471	შპს „ჯუჯესერვისი“	360000	240000	1.5	360000	1.5	გამარჯვებული
140027046	შპს „სმარტ ბიზნეს სოლუმშენი“	25000	20000	1.25	20000		
	ფ/პ ზაქარია ნარინდოშვილი				12000		
	ფ/პ თორნიკე ალადაშვილი				11999	0.6	გამარჯვებული
140028592	ფ/პ „თორნიკე ალადაშვილი“	76000	60000	1.27	75000	1.25	გამარჯვებული
150009095	ფ/პ „გიორგი ბოლაშვილი“	31000	25000	1.24	30000	1.24	გამარჯვებული
150010357	შპს „ჯუჯესერვისი ჯგუფი“	140000	100000	1.4	135000	1.35	გამარჯვებული
150019161	შპს „ჯუჯესერვისი ჯგუფი“	148000	110000	1.35	148000	1.35	გამარჯვებული
	ფ/პ „გიორგი ბოლაშვილი“				99000	0.9	დისკვალიფიკაცია ნიმუშის წარმოდგენლობის გამო

როგორც ცხრილიდან ჩანს ტენდერში(SPA150019161) ფ/პ „გიორგი ბოლაშვილს“, რომელსაც წარმოდგენილი ჰქონდა უმცირესი ფასი, დისკვალიფიკაცია მიეცა ცოცხის ნიმუშის წარმოდგენლობის გამო. თუმცა, რა მოტივით ვერ/არ წარმოადგინა ფ/პ „გიორგი ბოლაშვილმა“ ერთი ცალი ცოცხის ნიმუში გაურკვეველია. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს რისკი, რომ პრეტენდენტმა დაარღვია აფიდავიტის მოთხოვნები, რომლის თანახმად, კონკურენტს ეკრძალება კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება, სატენდერო წინადადების ფასის და წინადადების წარდგენის, ან წარდგენისაგან თავის შეკავება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არსებობს რისკი, რომ ტენდერში სავარაუდოდ მონაწილეობას იღებდნენ ურთიერთდაკავშირებული პირები. კერძოდ, შპს „ჯუგსერვის ჯგუფის“ წილის 90%-ის მფლობელი ვასილ ალადაშვილის და ფ/პ „გიორგი ბოლაშვილის“ იურიდიული საცხოვრებელი ადგილია სიღნაღის რაიონი სოფ. ჯუგაანი. ხოლო ფ/პ „თორნიკე ალადაშვილი“ და შპს „ჯუგსერვის ჯგუფი“ რეგისტრირებული არიან ერთიდაიგივე იურიდიულ მისამართზე²¹⁵.

რეკომენდაცია

სახსრების რაციონალური ხარჯვის თვალსაზრისით შესყიდვა განხორციელდეს ეტაპობრივად, შესყიდვის დაყოფით მონეტარული ზღვრების დაცვით. ასევე, მიზანშეწონილია კომპანიამ გააქტიუროს მუშაობა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დამზადებული ინვენტარის შექმნის კუთხით.

7.7. შესყიდვების მართვასთან დაკავშირებული სხვა ხარვეზები

ტენდერების გამოცხადებისას არასწორად იყო განსაზღვრული შესყიდვის სავარაუდო ღირებულებები. შესაბამისად, ტენდერებში გამარჯვებულად ცხადდებოდნენ ისეთი მიმწოდებლები, რომელთა მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულება აღემატებოდა საბაზრო ფასს. ასე მაგალითად:

● კომპანიის მიერ ფეხსაცმელების²¹⁶ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განსაზღვრული იყო 121.0 ათასი ლარის ოდენობით²¹⁷. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებიდან²¹⁸, ვაჭრობის შედეგად გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „უნი“, რომლის სატენდერო წინადადების ღირებულება 113.0 ათასი ლარს შეადგენდა. აღნიშნულ თანხაზე მასთან 2015 წლის 8 ოქტომბრს გაფორმებულია ხელშეკრულება²¹⁹, ხოლო ფაქტობრივად მიწოდებულია ოთხი ტიპის ფეხსაცმელი საერთო ღირებულებით 94.2 ათასი ლარი²²⁰.

მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტებით²²¹ დადგინდა, რომ ფეხსაცმელები შპს „უნი“-ს იმპორტირებული აქვს ჩინეთიდან. შესაბამისი რაოდენობების გათვალისწინებით შესყიდვის ფასი საბაჟო დეკლარაციების თანახმად დაახლოებით 54.5 ათასი ლარია, ანუ სხვაობა მიწოდებასა და შესყიდვას შორის შეადგენს 39.7 ათას ლარს²²²(72.8%);

²¹⁵ ქ.თბილისი ა.წერეთლის გამზირი N41²¹⁵, (<http://www.rs.ge>);

²¹⁶ ბათინკები-ორი ტიპის, რეზინის ჩექმები-ორი ტიპის და კომბინიზონის შესყიდვაზე გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის SPA150024078;

²¹⁷ დღგს-ს ჩათვლით;

²¹⁸ 5 მონაწილე;

²¹⁹ N4256-30-397 ;

²²⁰ სრულად არ შესრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

²²¹ ინვოისი, საბაჟო დეკლარაცია;

²²² 94.2-54.5.

•კომპანიასა და შპს „მევა ჯე“-ს შორის ელექტრონულ ტენდერში გამარჯვების საფუძველზე 2015 წელს 3,500 ცალი ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერების შესყიდვაზე გაფორმებულია სამი ხელშეკრულება²²³ საერთო ღირებულებით - 3,029.0 ათასი ლარი. როგორც წარმოდგენილი შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტებით ირკვევა შპს „მევა ჯე“-ს მიერ ჩეხეთიდან იმპორტირებული ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერების ღირებულებამ²²⁴ დაახლოებით 2526.2 ათასი ლარი შეადგინა. სხვაობა მიწოდებასა და შესყიდვას შორის 502.8 ათას ლარია;

•კომპანიასა და შპს „PROSPER LIMITED“-ს შორის ელექტრონულ ტენდერში გამარჯვების საფუძველზე 2015 წლის 15 დეკემბერს გაფორმებულია ხელშეკრულება N4256-10-478 ერთი ერთეული თვითმცლელი ავტომანქანის (მეორადი მოხმარების) მიწოდებაზე, ღირებულებით 107.7 ათასი ლარის (დღგ-ს ჩათვლით). შპს „PROSPER LIMITED“-ს მიერ წარმოდგენილი შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტების მიხედვით, აღნიშნული სატრანსპორტ საშუალების ღირებულებამ დაახლოებით შეადგინა 86.7 ათასი ლარი. სხვაობა მიწოდებასა და შესყიდვას შორის შეადგენს 21.0 ათას ლარს.

•ხუთი ერთეული სატვირთო მანქანის (ქუჩის მომრწყავ-მომრეცხი, მარილმომყრელი და თოვლმწმენდი სპეც ავტომანქანები) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, კომპანიის მიერ 2015 წლის 6 აგვისტოს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში²²⁵ გამარჯვებულად გამოცხადებულია შპს „ბიზნეს ჯგუფი 2010“. 2015 წლის 7 სექტემბერს გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ²²⁶ ხელშეკრულება ღირებულებით 830.0 ათასი ლარი. ამავე დროს, შპს „ბიზნეს ჯგუფი 2010“-ს მიერ რუსეთის ფედერაციიდან იმპორტირებული სატვირთო ავტომანქანების ღირებულებამ დაახლოებით 638.9 ათასი ლარი, ანუ მიწოდების ფასზე 191.1 ათას ლარით ნაკლები შეადგინა(29.9%);

•კომპანიასა და შპს „სტრადა“-ს შორის²²⁷ 2015 წლის 15 დეკემბერს გაფორმებულია ხელშეკრულება²²⁸ რვა ერთეული თვითმცლელი სატრანსპორტო საშუალების შესყიდვაზე, ღირებულებით 623.0 ათასი ლარი. შპს „სტრადას“-ს მიერ რუსეთის ფედერაციიდან იმპორტირებული ავტომანქანების ღირებულება დაახლოებით 394.5 ათასი ლარს შეადგენდა. ანუ სხვაობა მიწოდებისა და შესყიდვის ფასს შორის 228.5 ათას ლარია(57.9%).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2015 წელს შესყიდვის სავარაუდო ღირებულებებსა და სახელშეკრულებო თანხებს შორის სხვაობები:

²²³ 09.01.2015 წ N4256-30-005; 23.02.2015წ N4256-30-084 და 07.10.2015წ N4256-30-393;

²²⁴ საბაჟო დეკლარაციით და ზედნადები ხარჯების გათვალისწინებით;

²²⁵ SPA 150021881;

²²⁶ N 256-30-351;

²²⁷ ელექტრონულ ტენდერი, SPA150030521;

²²⁸ N4256-30-470.

მიმწოდებელი	შესყიდვის საგანი	სავარაუდო ღირებულება	სახელშეკრულებო ღირებულება	სხვაობა თანხით	%
სს რუსთავის მეტალურგიული კომბინატი შპს	სანიაღვრე ქსელისათვის საჭირო თუჯის ნაკეთობები	172.0	130.0	42.0	24
შპს „უდტ-ტექნიკა“	სპეცტექნიკის სათ. ნაწილები	153.2	109.0	44.2	29
შპს „ლომსია“	ბალასტი	114.0	83.9	30.1	26
შპს „მათე2012“	ოფისის და საამქროს სარემონტო სამუშაოები	105.0	80.3	24.7	24
შპს „იბერია ტექ ავტომოტივი“	აკუმულიატორები	69.9(დღგ-ს გარეშე)	54.7(დღგ-ს გარეშე)	15.2	22
შპს „ივერია მოტორსი“	მძიმე ტექნიკის ძრავები	78.8(დღგ-ს გარეშე)	46.6(დღგ-ს გარეშე)	32.2	41
შპს „მირა“	კომპრესორები	54.4(დღგ-ს გარეშე)	34.8(დღგ-ს გარეშე)	19.6	36
შპს „თემო“	საჭრელები	45.0(დღგ-ს გარეშე)	34.4(დღგ-ს გარეშე)	10.6	24
შპს „wando grup“	სარეკლამო პროდუქცია	71.0(დღგ-ს გარეშე)	44.5(დღგ-ს გარეშე)	26.5	37

რეკომენდაცია

მიზანშეწონილია ტენდერის გამოცხადებამდე საბაზრო ღირებულებების დადგენასთან დაკავშირებით განხორციელდეს ბაზრის უფრო დეტალური კვლევა, რაც საშუალებას მისცემს სწორად განისაზღვროს შესყიდვის სავარაუდო ღირებულებები.

8. ვალდებულებები და მოთხოვნები

კომპანიას 2015 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხებოდა შემდეგი ოდენობის ვალდებულებები და მოთხოვნები:

	ნაშთი 01.01.2015.	ნაშთი 31.12.2015.
მოთხოვნები		
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3670.7	195.1
დასუფთავების ტარიფები(თელასი)	674.6	-344.4
დასუფთავების ტარიფები(ენერგო პრო)	-15.5	-17
მოთხოვნები საწარმო პერსონალის მიმართ	121.1	9.7
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	11.5	7.8
სულ მოთხოვნები	4462.4	-148.8
	ნაშთი 01.01.2015.	ნაშთი 31.12.2015.
ვალდებულებები		
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	655.2	761.8

სხვა ვალდებულებები	21.4	5
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე)	-40	-232
გადასახდელი ხელფასები	-3.7	0.5
გადასახდელი გადასახადები	-378.4	-418.9
სულ ვალდებულებები	254.5	116.4

მოთხოვნების და ვალდებულებების რეალობის აუდიტით გამოვლინდა შემდეგი:

თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 24 დეკემბრის განკარგულებით²²⁹ განხორციელებულია თბილისის მოსახლეობის, დედაქალაქის დაგვა - დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის (საფასურის) დავალიანების²³⁰, მათ შორის განწილვადებული დასუფთავების ტარიფის დავალიანების გადაუხდელი ნაწილის ჩათვლით, სრული დაფინანსება. აღნიშნული დადგენილება შეეხო ქ. თბილისის ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ საზღვრებში არსებულ, მოსახლეობის კატეგორიის აქტიური სტატუსის მქონე იმ აბონენტებს, რომელთაც ერიცხებოდათ დედაქალაქის დაგვა - დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის (საფასურის) დავალიანება. აღნიშნული განკარგულების თანახმად, ქ. თბილისის მერიის საფინანსო სამსახურის მიერ დავალიანების დაფარვა - გადარიცხვა უნდა განხორციელებულიყო სს „თელასი“ - ს და სს „ენერგო - პრო ჯორჯია“ - ს მიერ გახსნილ დასუფთავების ტარიფის მიზნობრივ ანგარიშებზე, საიდანაც თანხები ჩაირიცხებოდა კომპანიის ანგარიშზე.

სს „თელასი“²³¹ - იდან და სს „ენერგო - პრო ჯორჯია“²³² - დან მიღებული ინფორმაციის²³³ შესაბამისად, 2014 წლის 29 დეკემბრის მდგომარეობით მოსახლეობის აღნიშნულ კატეგორიის დავალიანება 976.1 ათას ლარს შეადგენდა²³⁴. ენერგო - კომპანიების ანგარიშებზე ჩარიცხული თანხიდან სს „თელასში“ ათვისებული - დაფარულია 970.2 ათასი ლარის დავალიანება²³⁵, ხოლო 4.3 ათასი ლარი დაბრუნებულია ბიუჯეტში დავალიანების არ არსებობის გამო²³⁶. ასევე, 1.6 ათასი ლარის დავალიანება დაფარულია სს „ენერგო - პრო ჯორჯიაში“.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კომპანიის საფინანსო სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით²³⁷, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მხოლოდ სს „თელასი“ -ის ბაზაში რეგისტრირებული აბონენტების ზემოაღნიშნული სახის დავალიანება 674.6 ათას

²²⁹ N21.03.302;

²³⁰ ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება N7-38, 24.06.2011. - „დედაქალაქის დაგვა - დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის(საფასური) და მისი გადახდის წესის დადგენის შესახებ“ - მოქმედებდა 2013 წლის 1 ივნისამდე;

²³¹ N3 14 00087012, 30.12.2014.;

²³² ინფორმაცია მიღებულია ელექტრონული ფოსტის მეშვეობით 29.12.2014.;

²³³ რამდენადაც კომპანიას არ გააჩნია დარიცხვის საკუთარი ბაზები, დაეყრდნო ენერგო - კომპანიების წარმოდგენილ მონაცემებს;

²³⁴ მათ შორის: სს „თელასი“ - 974.5 ათასი ლარი და სს „ენერგო - პრო ჯორჯია“ 1.6 ათასი ლარი;

²³⁵ რაც ჩაირიცხა კომპანიის ანგარიშზე;

²³⁶ თანხების ჩარიცხვამდე აბონენტებმა თავად დაფარეს დავალიანებები;

²³⁷ დებიტორ - კრედიტორების შესახებ.

ლარს შეადგენდა, ანუ ქ. თბილისის მერიიდან მოთხოვნილ²³⁸ თანხაზე 299.9 ათასი ლარით ნაკლებს. შედეგად, კომპანიის ანგარიშზე 970.2 ათასი ლარის ჩარიცხვის²³⁹ შემდეგ წარმოშობილია ზედმეტობა და 2015 წლის ბოლოსათვის ზედმეტად ჩარიცხულმა თანხამ 344.4 ათასი ლარი შეადგინა²⁴⁰, მაშინ როდესაც ამავე თარიღისათვის სს „თელასიდან“ წარმოდგენილი მონაცემებით კომპანიის მიმართ სულ დავალიანება 1,074.8 ათას ლარს შეადგენს, მათ შორის მოსახლეობის დავალიანება 155.5 ათასი და კომერციული აბონენტების 919.3 ათასი ლარი.

რაც შეეხება სს „ენერგო - პრო ჯორჯია“ - ზე მიმაგრებულ (რეგისტრირებულ) პირებს 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერიცხებოდათ - 15.4 ათასი ლარის ზედმეტობა, ხოლო თანხების²⁴¹ კომპანიის ანგარიშზე ჩარიცხვის შემდეგ ზედმეტობა გაზრდილია 17.0 ათას ლარამდე.

კომპანიასა და სს „თელასს“ და სს „ენერგო - პრო ჯორჯიას“ შორის გაფორმებული საბილინგო ხელშეკრულებები ითვალისწინებდა - ერთერთი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შედარებას (შედარების აქტის წარმოება), მიმწოდებლის სპეცანგარიშზე დაგვა - დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურებისათვის შემოსული და შემსყიდველის ანგარიშზე გადარიცხულ თანხებს შორის. აღნიშნული ხელშეკრულების ამოქმედებიდან დღემდე ტარიფის ამოღება - გადარიცხვის კუთხით არცერთი შედარების აქტი არ გაფორმებულა. ასეთი აქტების გაფორმება განხორციელდა აუდიტის მიმდინარეობის პროცესში აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე. შედარების შედეგად მოსაკრებლის ნაწილში ორივე ენერგოკომპანიის მიერ დარიცხული, ამოღებული და ბიუჯეტში ჩარიცხული თანხები შესაბამისობაშია ერთმანეთთან²⁴², ხოლო დასუფთავების ტარიფის ნაწილში საერთოდ არ შეესაბამება კომპანიის წარმოდგენილ მონაცემებს.

2015 წლის 4 თებერვალს²⁴³ კომპანიასა და შპს „კვ - ჯგუფს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საგანს სხვა საკითხებთან ერთად წარმოადგენდა - შპს „თბილსერვის ჯგუფის“ , ქ. თბილისის მერიას, სს „თელასის“ და სს „ენერგო - პრო ჯორჯია“ - ს შორის გარდამავალი პერიოდის (დასუფთავების მოსაკრებლიდან - დასუფთავების ტარიფზე და დასუფთავების ტარიფიდან - დასუფთავების მოსაკრებელზე გადასვლა) გამო წარმოქმნილი დავალიანებების (დებიტორული, კრედიტორული) სიზუსტის შესწავლა და ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში რეკომენდაციის გაწევა მათ აღმოსაფხვრელად. აღნიშნული მომსახურებისთვის შპს „კვ - ჯგუფს“ გაწეული აუდიტორული მომსახურებისთვის მიღებული აქვს 9,999 ლარი.

ორ ენერგოკომპანიასთან, კომპანიის ბალანსში ასახული ტარიფთან დაკავშირებული მონაცემები, როგორც მთელ აუდიტებულ პერიოდში, ასევე 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არასწორია - არ შეესაბამება რეალობას.

²³⁸ 974.5- 674.6=299.9 ათასი ლარი;

²³⁹ ჩარიცხულია 2015 წლის 12 იანვარს;

²⁴⁰ სავარაუდოდ დებიტორ - კრედიტორების მთლიანი თანხების სალდირებული თანხაა;

²⁴¹ 1.6 ათასი ლარი;

²⁴² შესაბამისობაშია ქ. თბილისის ბიუჯეტში ჩარიცხულ თანხებთან;

²⁴³ ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N4256-30-052 - 9,999 ლარი, გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA150001768.

კომპანიის წარმომადგენლების განმარტებით, აღნიშნული შეუსაბამოა გამოწვეულია დასუფთავების ტარიფის მოსაკრებელით ჩანაცვლების თარიღისათვის²⁴⁴ აბონენტების ანგარიშზე არსებული ტარიფის ზედმეტობით²⁴⁵ დასუფთავების მოსაკრებელში წარმოქმნილი დავალიანების გადაფარვით.

იქიდან გამომდინარე, რომ დასუფთავების მოსაკრებელი მიმართული უნდა ყოფილიყო ბიუჯეტში, გამოქვითული თანხები ექვემდებარება ქ. თბილისის ბიუჯეტში ჩარიცხვას.

გარდა ზემოაღნიშნულისა კომპანიას ქ. თბილისის მერიის მიმართ ერიცხება 31.2 ათასი ლარის მოთხოვნა, რაც არ დასტურდება მერიიდან მიღებული წერილობითი ინფორმაციით. ასევე, სს „თელასის“ მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში ასახული დავალიანება არ შეესაბამება კომპანიაში რიცხულ დავალიანებას.

კომპანიაში არსებული აღრიცხვის მონაცემებით, გადასახდელი გადასახადების სახით, 2015 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით ზედმეტად გადახდილად ერიცხებათ 378.4 და 418.9 ათასი ლარი, მაშინ როდესაც შემოსავლების სამსახურის შედარების აქტის თანახმად, ნარჩენის სახით ორივე თარიღისათვის ფიქსირდება 659.5 ათასი ლარის დავალიანება. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კომპანიაზე 2013 წლის 14 ნოემბრის საგადასახადო შემოწმების აქტით ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხულია სულ 1,021,994 ლარი, მათ შორის: ძირითადი გადასახადი 678.0 ათასი ლარი და ჯარიმა 344.0 ათასი ლარი, რასაც კომპანია არ ეთანხმება²⁴⁶ და შესაბამისად არა აქვს ასახული ბუღალტრულ აღრიცხვაში. აღნიშნულის გათვალისწინებითაც ანგარიშგებაში რიცხული დავალიანებები არასწორია და მოითხოვს შემდგომ შესწავლა - დაზუსტებას.

2014 – 2015 წლებში კომპანიაში სრულყოფილად არ ჩატარებულა მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციები²⁴⁷.

რეკომენდაცია:

გონივრულ ვადაში დადგინდეს აბონენტების მიერ დასუფთავების ტარიფის სახით ზედმეტად გადახდილი თანხებიდან დასუფთავების მოსაკრებელში გაქვითული თანხების ოდენობა, რაც შემდგომში მიმართული უნდა იქნას თბილისის ბიუჯეტში. დადგენილ ვადებში ჩატარდეს მოთხოვნების და ვალდებულებების სრულყოფილი ინვენტარიზაცია.

9. დედაქალაქის ტერიტორიაზე დასუფთავების წესების დარღვევებზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება

დედაქალაქის ტერიტორიაზე დასუფთავების წესების დარღვევებზე²⁴⁸ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება საკანონმდებლო და

²⁴⁴ 2013 წლის 1 ივლისისთვის;

²⁴⁵ 1,781.9 ათასი ლარი;

²⁴⁶ მიმდინარეობს სასამართლო პროცესი;

²⁴⁷ საქართველოს პრეზიდენტის N70 ბრძანებულება, 28.01.1997., მუხლი N13, N15 პუნქტი მე-2.

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დაევალა²⁴⁹ შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფს“, რომლის დირექტორს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის - საჯარიმო ქვითრის შედგენაზე უფლებამოსილი თანამშრომლები უნდა განესაზღვრა²⁵⁰ ბრძანებით. საზოგადოების დირექტორის ბრძანებებით დამტკიცებული²⁵¹ საზოგადოების ზედამხედველობის განყოფილების (რეორგანიზაციის შემდგომ ზედამხედველობის სამსახურის) დებულებებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 146²-ე მუხლით გათვალისწინებულ ფაქტებზე რეაგირება განესაზღვრა ამ დანაყოფს .

2014 წლის 26 დეკემბერის საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“²⁵² მიღებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან 146²-ე მუხლი ამოღებული იქნა²⁵³ და გარემოს ნარჩენებით დანაგვიანებისათვის გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება ხსენებული კოდექსით განისაზღვრა.

2015 წლის 27 თებერვალს ნარჩენების მართვის კოდექსში შესულ ცვლილებამდე²⁵⁴, იმის გათვალისწინებით, რომ კანონმდებელმა ნარჩენების მართვის კოდექსით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმების შედგენაზე უფლებამოსილად მხოლოდ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში შემავალი დაწესებულებების, შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლები განსაზღვრა შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი“ დედაქალაქის ტერიტორიის ნარჩენებით დანაგვიანების ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირებას ვერ განახორციელებდა. 27 თებერვლის შემდეგ, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ „თბილსერვის ჯგუფს“ მხოლოდ 2015 წლის 15 მაისს²⁵⁵ მიანიჭა ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე, 32-ე მუხლებით, 33-ე მუხლის პირველი ნაწილით, 34-ე, 35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 39-ე მუხლით და 43-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის-საჯარიმო ქვითრის შედგენის უფლებამოსილება²⁵⁶ და საზოგადოების დირექტორს ბრძანებით ადმინისტრაციული

²⁴⁸ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 146²-ე მუხლი;

²⁴⁹ თბილისის მერის 2011 წლის 30 ივნისის N 23 ბრძანება;

²⁵⁰ თბილისის მერის 2011 წლის 30 ივნისის N 23 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 146²-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის“ დანართი 1-ის მე-2 მუხლი;

²⁵¹ შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი“-ს დირექტორის 2013 წლის 31 ივლისის N 02536 და 2014 წლის 31 დეკემბრის N 03332 ბრძანებები;

²⁵² გამოქვეყნდა და ძალშია 2015 წლის 15 იანვრიდან, საკანონმდებლო მაცნე სარეგისტრაციო კოდი 360160000.05.001.017608;

²⁵³ გამოქვეყნდა და ძალშია 2015 წლის 15 იანვრიდან, საკანონმდებლო მაცნე სარეგისტრაციო კოდი 020000000.05.001.017596;

²⁵⁴ საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს 47-ე მუხლის მე-8 და მე-12 ნაწილები (2015 წლის 27 თებერვლამდე რედაქცია), საკანონმდებლო მაცნე სარეგისტრაციო კოდი 360160000.05.001.017608; ამავე ნორმების ცვლილებები საკანონმდებლო მაცნე სარეგისტრაციო კოდი 360160000.05.001.017619;

²⁵⁵ ზემოხსენებულ უფლებამოსილებას შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი“ მხოლოდ 2016 წლის 01 ივნისიდან ანხორციელებს;

²⁵⁶ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 08 მაისის N 11-44 დადგენილების 1-ლი მუხლი და დანართი N 1.

სამართალდარღვევის საქმის წარმოებაზე უფლებამოსილი შესაბამისი თანამშრომლების განსაზღვრა დაავალა²⁵⁷.

2016 წლის თებერვლის დასაწყისამდე საზოგადოების ზედამხედველობის ან სხვა რომელიმე სამსახურის თანამშრომლების ასეთი უფლებამოსილებით აღმჭურველი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი რეგისტრირებული არ იყო. აუდიტის მიმდინარეობისას აუდიტორთა ჯგუფს პირველ ეტაპზე საზოგადოების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულება²⁵⁸ წარმოგვედგინა, რომლითაც ნარჩენების მართვის კოდექსით დადგენილ დარღვევებზე რეაგირება ზედამხედველობის სამსახურს განესაზღვრა²⁵⁹. 26 თებერვალს წარმოგვედგინა შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი“-ს დირექტორის 2015 წლის 15 მაისით დათარიღებული, 2015 წლის ნორმატიული დოკუმენტების აღრიცხვის N 4 ჟურნალში N 0712 ჩანაწერად რეგისტრირებული ბრძანება, რომლის თანახმად, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-თ გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საჯარიმო ქვითრის შევსება ზედამხედველობის სამსახურს დაევალა. ჟურნალის დათვალისწინებითა და საზოგადოების თანამშრომელთა განმარტებებით დადგინდა, რომ 2015 წლის თარიღით ბრძანება ჟურნალში 2016 წლის თებერვლის დასაწყისში დარეგისტრირდა.

2014-2015 წლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევთა ოქმების აღრიცხვის ჟურნალების გარეკანი და ფურცლები არის ზონარგაყრილი, ზონარის კვანძზე დაკრულია ეტიკეტი, თუმცა უგულებელყოფილია რა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები²⁶⁰ ჟურნალების ეტიკეტები არ არის დამოწმებული შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი“-ს დირექტორის ხელმოწერით. ამასთან, 2014 წლის ჟურნალისგან განსხვავებით 2015 წლის ჟურნალის ეტიკეტი დამოწმებულია არა სამართალსუბიექტის (შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი“-ს) არამედ საზოგადოების კანცელარიის ბეჭდით.

2014 წელს შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი“-ს ზედამხედველობის სამსახურს, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულების მიუხედავად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 146²-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევებზე შედგენილი 397-დან 187 საჯარიმო ქვითრის შედგენის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკურ დეპარტამენტში ინფორმაცია 10 დღიანი ვადის²⁶¹ გასვლის შემდეგ აქვს გადაგზავნილი. ამასთან, ათეულობით შემთხვევაში ხსენებულ დეპარტამენტში ინფორმაცია ერთი თვის და მეტი პერიოდით გვიან არის გაგზავნილი.

²⁵⁷ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 08 მაისის N 11-44 დადგენილებით დამტკიცებული დანართი N 1-ის მე-2 მუხლი;

²⁵⁸ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი, მე-7 მუხლის მე-9 პუნქტი და მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი;

²⁵⁹ შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი“-ს დირექტორის 2015 წლის 30 ოქტომბრის N 02296 ბრძანება და ბრძანებით დამტკიცებული ზედამხედველობის სამსახურის დებულების მე-2 მუხლი;

²⁶⁰ თბილისის მერის 2011 წლის 30 ივნისის N 23 ბრძანებით დამტკიცებული N 1 დანართის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 08 მაისის N 11-44 დადგენილებით დამტკიცებული N 1 დანართის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი;

²⁶¹ თბილისის მერის 2011 წლის 30 ივნისის N 23 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 146²-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის“ დანართი 1-ის მე-3 მუხლის მე-12 პუნქტი.

2014 წელს შედგენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმებთან დაკავშირებით სამართალსუბიექტების მიერ „თბილისერვის ჯგუფში“ წარდგენილი საჩივრები თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურში უმეტეს შემთხვევაში 3 დღიანი ვადის დარღვევით არის გადაგზავნილი²⁶²

2015 წელს ზედამხედველობის სამსახურს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-თ გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე 574 საჯარიმო ქვითარი აქვს შედგენილი. 10 ივნისიდან 6 სექტემბრამდე პერიოდში, შედგენილი 263-დან 30 ქვითრის შედგენაზე ინფორმაცია, შინაგან საქმეთა სამინისტროში დადგენილი ვადის დარღვევით არის გადაგზავნილი, ხოლო 2015 წლის 2 ოქტომბრის შემდეგ ასეთ ინფორმაციას სამსახური 2016 წლის 25 მარტამდე არ აგზავნიდა²⁶³.

ნარჩენების მართვის უზრუნველსაყოფად მიღებული საკანონმდებლო რეგულაციების შესაბამისად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმში შეიტანება სამართალდამრღვევის მონაცემები, მათ შორის იურიდიული პირის შემთხვევაში გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ყველა რეკვიზიტი. არასწორი მონაცემების შეტანის შემთხვევაში ძველი ოქმი უნდა გადაიხაზოს და ახალი ოქმი შეივსოს.²⁶⁴

არასწორი მონაცემების შეტანისა და დაზიანების გამო 2014 წელს - 5, ხოლო 2015 წელს 9 ახალი ოქმია შევსებული, რაც საზოგადოების თანამშრომლების მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმების შედგენისას რეალურად დაშვებულ უზუსტობებთან შედარებით გაცილებით ნაკლებია.

აუდირებულ პერიოდში გამოვლინდა ისეთი ფაქტებიც როდესაც საზოგადოებამ ოქმში მითითებულის შესაბამისად სააღსრულებო ფურცელი სამართალსუბიექტის არასწორი საიდენტიფიკაციო მონაცემებით შეადგინა და მხოლოდ ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ აღსრულების ეროვნული ბიუროდან შეუსრულებლად დაბრუნებისას გახდა ცნობილი მათთვის, რომ საჯარიმო ქვითარში არსწორი მონაცემები ჰქონდათ შეტანილი.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი²⁶⁵, თუმცა ამის მიუხედავად 2015 წელს ზედამხედველობის სამსახურის მიერ ასეთი სამართალსუბიექტების მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით²⁶⁶ ამხანაგობებს²⁶⁷ იურიდიული პირისათვის დადგენილი სახდელი²⁶⁸ განესაზღვრათ.

²⁶² თბილისის მერის 2011 წლის 30 ივნისის N 23 ბრძანებით დამტკიცებული დანართი N 1-ის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი;

²⁶³ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოღებული ინფორმაცია ელექტრონული სახით(CD დისკით);

²⁶⁴ თბილისის მერის 2011 წლის 30 ივნისის N 23 ბრძანებით დამტკიცებული დანართი N 1-ის მე-3 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 08 მაისის N 11-44 დადგენილებით დამტკიცებული დანართი N 1-ის მე-3 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები;

²⁶⁵ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი ნაწილი;

²⁶⁶ 1) N 000153 და 2) 000365 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები;

²⁶⁷ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები „გლდანა 999 „ ს/კ 200281239 და „ლაშა 92“ ს/კ 204462651;

²⁶⁸ ნარჩენების მართვის კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილი ფიზიკური პირის მიმართ ითვალისწინებს 200 ლარის, ხოლო იურიდიული პირების მიმართ 500 ლარის ჯარიმას, ამავე მუხლის მეორე ნაწილი- შესაბამისად 500 ლარის და 1500 ლარის ოდენობის ჯარიმას.

ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ სამართლებრივი აქტი იძულებით აღსრულდება ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის დადგენილი 30 დღიანი ვადის²⁶⁹ გასვლის შემდეგ, ხოლო იძულებითი აღსრულება დასაშვებია მხოლოდ მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ²⁷⁰. ამასთან, გასაჩივრების შემთხვევაში საჯარიმო ქვითარი ძალაში საჩივრის განხილვის შემდგომ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში შედის²⁷¹. 2014 წელს სამართალსუბიექტების მიერ საჩივრების საზოგადოებაში წარდგენით²⁷² „თბილისის ჯგუფი“-ს ინფორმირების მიუხედავად საზოგადოების ხემძღვანელის მიერ სააღსრულებო ფურცელი უმეტეს შემთხვევაში სამართლებრივი აქტის კანონიერ ძალაში შესვლამდეა გადაგზავნილი აღსრულების ეროვნულ ბიუროში²⁷³. გამოვლინდა ფაქტი, როდესაც სააღსრულებო ფურცელი ერთ სამართლებრივ აქტზე ორჯერ შედგა და ორივე შემთხვევაში აქტის კანონიერ ძალაში შესვლამდე,²⁷⁴ ასევე, შემთხვევა როდესაც სააღსრულებო ფურცელი ჯარიმის ნებაყოფლობით გადახდის მიუხედავად შედგა²⁷⁵.

სააღსრულებო ფურცელი გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს გაცემული ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც კრედიტორის მოთხოვნას და მის აღსასრულებლად მიქცევას ამოწმებს²⁷⁶. საზოგადოების დირექტორმა სამართლებრივი აქტების კანონიერ ძალაში შესვლამდე შედგენილი სააღსრულებო ფურცლებიდან 7 ფურცელი მიიჩნია ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად და ბათილად ცნო²⁷⁷, თუმცა გაურკვეველია თუ რა ფაქტობრივი ან სამართლებრივი საფუძვლით განხორციელდა საერთო რაოდენობიდან კონკრეტული-ხსენებული ოდენობის სააღსრულებო ფურცლების შერჩევა და ბათილად ცნობა, რადგან საზოგადოების დირექტორის ბრძანებაში მითითებული არ არის.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტებზე სახდელად განსაზღვრული ჯარიმების იძულებით აღსრულების მიზნით, სამართლებრივი აქტების კანონიერ ძალაში შესვლამდე 2015 წელს 2014 წელთან შედარებით გაცილებით ნაკლები სააღსრულებო ფურცელია შედგენილი, რაც სამართალსუბიექტების მიერ ადმინისტრაციული საჩივრის უშუალოდ სასამართლოში წარდგენით²⁷⁸ და

²⁶⁹ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილი;

²⁷⁰ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 267-ე მუხლი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 283-ე მუხლის 1-ლი, მე-4 და მე-5 ნაწილები;

²⁷¹ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 283-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 290-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლი;

²⁷² გასაჩივრდა 94 ოქმი(6 საჩივარი დღემდე განუხილველია) და სამართალსუბიექტებმა უშუალოდ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის საჩივრით მხოლოდ 4 შემთხვევაში მიმართეს;

²⁷³ 16 ჯარიმა იძულებითვე აღსრულდა კანონიერ ძალაში შესვლამდე;

²⁷⁴ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი N 000442 კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს დადგენილებით 2015 წლის 11 აგვისტოს სააღსრულებო ფურცლები გაიცა 29.12.2014 და კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის დადგენილების მიღების შემდეგ 27.05.2015;

²⁷⁵ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი N 000498 1000 ლარი ჯარიმა სამართალსუბიექტმა გადაიხადა 06.07.2015 სააღსრულებო ფურცელი შედგა 13.07.2015 ; N000263 500ლარი ჯარიმა სამართალსუბიექტმა გადაიხადა 16.01.2016 სააღსრულებო ფურცელი შედგა 17.12.2015, ეს ოქმი ძალაში შევიდა 27.11.2015წ და N 000445, 000255 ოქმები;

²⁷⁶ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ მე-20 მუხლი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლი;

²⁷⁷ შ.პ.ს. „თბილისის ჯგუფი“-ს დირექტორის 2015 წლის 01 აპრილის N 0507 ბრძანება.

²⁷⁸ ნარჩენების მართვის კოდექსის 47-ე მუხლის 16-ე ნაწილი.

აღნიშნულთან დაკავშირებით საზოგადოების დაგვიანებით ინფორმირებით, ან სასამართლოში სამართალსუბიექტების საჩივრის იძულებით აღსრულების დაწყების შემდგომ წარდგენით არის განპირობებული.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ 2014–2015 წლებში 10 შემთხვევაში სამართალდამრღვევი პირების მიერ კანონით დადგენილ 30 დღიან ვადაში²⁷⁹ ადმინისტრაციულ სახდელად განსაზღვრული ჯარიმები საერთო თანხით 7480 ლარი გადახდილი არ არის, ხოლო საზოგადოების მიერ ჯარიმის იძულებით აღსრულების მიზნით კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსრულებლობის შედეგად ამ ოდენობის თანხის თბილისის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სასარგებლოდ იძულებით მიქცევა ამჟამად შეუძლებელია²⁸⁰.

10. ცხელ ხაზზე შემოსულ განცხადებებზე (საჩივრებზე) რეაგირება

2014-2015 წლებში კომპანიის ცხელ ხაზზე სულ შემოსულია 16,857 ზარი, მათ შორის წლებისა და კომპანიის სტრუქტურული ერთეულების მიხედვით:

სტრუქტურული ერთეულების დასახელება	2014 წელი	2015 წელი
მთაწმინდა-კრწანისი-ჩუღურეთის განყოფილება	1098	1947
ისანი-სამგორის განყოფილება	958	1332
დიდუბე-დიდი დილომის განყოფილება	449	692
გლდანი-ნამალაღვიის განყოფილება	813	1018
ვაკე-საბურთალოს განყოფილება	1170	1988
სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლუატაციის N1 და N2 განყოფილებები	322	792
ზედამხედველობის (ინსპექცია) სამსახური	5	403
თელასი	214	3476
ენერგოპრო	5	120
პოლიგონი	2	53
სულ	5036	11821

კომპანიის რაიონული განყოფილებების და სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების საქმიანობასთან დაკავშირებით შემოსული ზარები შეეხებოდა სანაგვე კონტეინერების დადგმასთან, გატანასთან, გამოცვლასთან, დაცლასთან, გარეცხვასთან და გადაადგილებასთან, გზის თოვლისგან გაწმენდასა და მარილის დაყრასთან, დაგვა-დასუფთავების, საკითხებთან, სამშენებლო მასალების გაწმენდასთან(გატანასთან), სანიაღვრე ჭების გაწმენდასთან, სანიაღვრე ჭების ლუქების დაზიანებასთან და არარსებობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

²⁷⁹ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლი;

²⁸⁰ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 287-ე მუხლი.

კომპანიის წარმომადგენლების განმარტებით ცხელი ხაზის ოპერატორი ინფორმაციას განხორციელებული ზარის თაობაზე აწვდის შესაბამისი რაიონის დისპეტჩერს, რომელიც თავის მხრივ შემოსული ზარით მიღებულ ინფორმაციას სათანადო რეაგირებისათვის აწვდიდა შესაბამის სამსახურს (ტრანსპორტის დარგში ან ტექნიკურ დარგში) რის შემდეგაც მყისიერად ხორციელდებოდა სატელეფონო ზარის ავტორთან დაკავშირება და უშუალოდ მისგან მიღებული შეტყობინების დამუშავება. პრობლემის აღმოფხვრა ხორციელდებოდა დროული რეაგირების საფუძველზე, რაზეც ინფორმაცია მიეწოდებოდა ზარის განმახორციელებელს.

თუმცა აუდიტის პროცესში კომპანიის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შემოსულ ზარებზე რეაგირების დამადასტურებელი დოკუმენტი, რასაც კომპანია ხსნის იმ გარემოებით, რომ სამუშაო პროცესის დინამიურობიდან გამომდინარე, სატელეფონო ზარით შემოსული ინფორმაციაზე განხორციელებული რეაგირების დადასტურება ხდებოდა მხოლოდ ზეპირსიტყვიერად.

აღსანიშნავია რომ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომპანიაში არ არის უფლება-მოვალეობები გაწერილი, არ არის ჩამოყალიბებული ცხელ ხაზზე შემოსულ ზარებზე რეაგირების და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები.

რეკომენდაციები:

1. გადაიხედოს დაგვა-დასუფთავების ღონისძიებებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების კომპანიის საწესდებო კაპიტალში ასახვის მიზანშეწონილობის საკითხი, რამდენადაც ასეთი პრინციპით კომპანიის დაფინანსება იწვევს ყოველწლიურად ზარალის ზრდას;
2. კომპანიამ სატრანსპორტო საშუალებებზე/სპეციალურ ტექნიკაზე გახარჯული საწვავის ჩამოწერა განახორციელოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის N230 ბრძანებით დამტკიცებული „ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ძირითად საშუალებებზე(ავტოსატრანსპორტი, სპეცტექნიკა და სხვა) გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის წესის“ შესაბამისად;
3. მიზანშეწონილია ტექნიკის საგზაო ბარათში მიეთითოს მექანიზმების/სატრანსპორტო საშუალებების გაჩერების პერიოდი, საბურავების გამოცვლასთან დაკავშირებით დაკონკრეტდეს საბურავის შეცვლის მიზეზი,სარემონტო სამუშაოების შედეგად გამოცვლილი და გამოსაყენებლად უვარგისი ლითონის შემცველი ნაწილები თავისდროულად იქნეს შემოსავალში აღებული;
4. არსებული პრაქტიკის(სტანდარტის) შესაბამისად კომპანიამ შეიმუშავოს მარილისა და წიდის შერევისა და გამოყენების წესი;
5. შეიმუშავებული და დამტკიცებული იქნას ნაგავმზიდი სპეც. მანქანების მოძრაობის ოპტიმალური საბაზისო მარშუტები და მათში ცვლილებების შეტანის წესი;
6. კომპანიამ შესრულებული სამუშაოები აწარმოოს სათანადოდ შედგენილი დეფექტური აქტების საფუძველზე. შესრულებულ სამუშაოებზე გახარჯული მასალების ჩამოწერა განხორციელდეს მათი ფაქტობრივი ხარჯის შესაბამისად;

7. მიზანშეწონილია შემუშავებულ იქნას დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელის საქმიანობის დაწყების განმსაზღვრელი დოკუმენტების კონკრეტული ჩამონათვალი;
8. სახსრების რაციონალური ხარჯვის თვალსაზრისით შესყიდვა განხორციელდეს ეტაპობრივად, შესყიდვის დაყოფით მონეტარული ზღვრების დაცვით. ასევე, მიზანშეწონილია კომპანიამ გააქტიუროს მუშაობა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დამზადებული ინვენტარის შეძენის კუთხით;
9. მიზანშეწონილია ტენდერის გამოცხადებამდე საბაზრო ღირებულებების დადგენასთან დაკავშირებით განხორციელდეს ბაზრის უფრო დეტალური კვლევა, რაც საშუალებას მისცემს სწორად განისაზღვროს შესყიდვის სავარაუდო ღირებულებები;
10. გონივრულ ვადაში დადგინდეს აბონენტების მიერ დასუფთავების ტარიფის სახით ზედმეტად გადახდილი თანხებიდან დასუფთავების მოსაკრებელში გაქვითული თანხების ოდენობა, რაც შემდგომში მიმართული უნდა იქნას თბილისის ბიუჯეტში. დადგენილ ვადებში ჩატარდეს მოთხოვნების და ვალდებულებების სრულყოფილი ინვენტარიზაცია.

მთავარი აუდიტორი

წამყვანი აუდიტორი

უფროსი აუდიტორი

აუდიტორი

აუდიტორი

აუდიტორ - ასისტენტი

აუდიტორ - ასისტენტი

ზურაბ შაყულაშვილი

დავით გაგნობე

მერაბ ზაიცევი

ბესიკ ფერაძე

ბორის მჭედლიშვილი

სპარტაკ გიგბერია

ნიკოლოზ ღულათავა